საერთო გაზეთი

№2 (594) • 27 იანვარი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

ეროვნული გმირი

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ქვეყნისთვის თავდადებული ეროვნული გმირი

„ნაცმოძრაობა“ – ოკუპანტის სპარინგპარტნიორი

კავკასიური პლატფორმა

რა რისკებს და საფრთხეებს უკავშირდება კავკასიური პლატფორმის ამოქმედება, ამ საკითხზე გვესაუბრებიან ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** და პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე**

რევოლუცია გინდებლარიენ, თქვე მართლა ლობიოებო? ვერ მოგართვით!

ღია წერილივით „სეერთაშორისო ექსპერტ“ ხათუნა ლაგაზიძეს

უცრემლოდ წასული და ცრემლით მოსული

ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების ჩატარების მომზადებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება!

მამუკა ხაზარაძის თარსი დღე

ბარნაბა ეძგვერაძის წერილი ოპოზიციას

ალო, ტაქსი

„ბებერი ეშმაკის რჩევები ახალგაზრდა ეშმაკისთვის“

აგნეს ბოიაჯუ – დედა ტერეზა – სიკვდილის ანგელოზი ჯოჯოხეთიდან

საჯაროა ოპოზიციის მოთხოვნა, რიგგარეშე არჩევნები გაზაფხულზე ელექტრონული ტექნოლოგიით ჩავატაროთო

ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების ჩატარების მომზადებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება!

თორნიკე ზედელაშვილი – პოლიტიკის მეცნიერებათა ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა კიბერუსაფრთხოების თემაზე. მისი სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია უკრაინულ და პოლონურ გამოცემებში. მონაწილეობდა არაერთ საერთასორისო კონფერენციაში.

თორნიკე დაინტერესებულია როგორც საერთაშორისო პოლიტიკით, ასევე საშინაო საკითხებით. ამჯერად გვთავაზობს სტატიას ელექტრონული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, რაზეც ასერიგადაა აჟიტირებული ე.წ. ოპოზიცია.

●

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მაინც რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ითხოვს, რომელიც ელექტრონული ტექნოლოგიით უნდა ჩატარდეს.

დღეს ამ თემაზე ბევრი ლაპარაკობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლაპარაკეთა უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული საარჩევნო სისტემის მორგება ელექტრონულ, ანუ თანამედროვე ტექნოლოგიებზე. სამწუხაროა ისიც, რომ ამ კუთხით საზოგადოებას სრული ინფორმაცია არ მიეწოდება. მე მგონი, დღეს იმაზე არავინ დაობს, რომ საარჩევნო სისტემის არსებული ფორმა უნდა შეიცვალოს, დაიხვეწოს, მაგრამ გასარკვევია, გვჭირდება კი ელექტრონული არჩევნები? თუ გვჭირდება, რა ფორმით? შეუძლია კი ჩვენს ქვეყანას ამ ტექნოლოგიების შეძენა, კოვიდკრიზისულ პერიოდში?

ე.წ. ოპოზიციონერები სანდო არჩევნების ჩატარების საკითხს ელექტრონულ ტექნოლოგიებს უკავშირებენ, მაგრამ დეტალურად არავინ საუბრობს, რა იგულისხმება ამაში. სიმართლე გითხრათ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საერთოდ არ ესმით ელექტრონული არჩევნების საკითხი, არ იციან, რა გამოცდილება არსებობს ამ მხრივ ევროპის ქვეყნებსა და თუნდაც ამერიკის შეერთებულ სტატებში. მაგალითად, უკრაინაში მჯდომარე მიხეილ საკაშვილის თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნიკანორ მელიას თავმჯდომარედ არჩევის დროს ელექტრონული არჩევნების სისტემა გამოიყენა და ქართულ საზოგადოებას დაპირდა, რომ ამ სისტემას საქართველოშიც დანერგავს. ეს ისეთივე ბლეფია, როგორც მისი დაგებული გზები, შეღებილი კორპუსები, მოგებული ომი, აშენებული ქარხნები და ასე შემდეგ. დარმწუნებული ვარ, საკაშვილი საერთოდ ვერ ერკვევა ამ სისტემაში.

ელექტრონული არჩევნების ბევრნაირი განმარტება არსებობს: ის წარმოადგენს სისტემას, სადაც ხორციელდება ხმის ჩაწერა, ხმის მიცემა ან დათვლა, პოლიტიკურ არჩევნებსა და რეფერენდუმებში, მოიცავს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

არსებობს ელექტრონული არჩევნების რამდენიმე მოდელი. საერთო ჯამში კი გულისხმობს საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებულ კომპიუტერულ სენსორულ ეკრანებს, რომლებზეც კანდიდატურებია გამოსახული და ამომრჩეველი თითის დაჭერით ირჩევს სასურველს.

დემოკრატიის განვითარებისთვის, საზოგადოებრივი პოზიციის გამოსახატავად, მინიმალური ხარვეზებით ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვანია. საქართველოში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა, სანდო არჩევნების ჩატარების გარანტი შეიძლება იყოს? ეს არავინ ისიც, ე.წ. ოპოზიციური ლიდერები არ აკონკრეტებენ, რატომ იქნება ელექტრონული ტექნოლოგიით ჩატარებული არჩევნები სანდო? მრავალი მაგალითი არსებობს, სადაც ელექტრონული ხმის მიცემის ტექნოლოგია ფართო მასშტაბით გამოიყენება: ბელგია, ბრაზილია, არგენტინა, კანადა, საფრანგეთი, იაპონია, მექსიკა, ინდოეთი, ვენესუელა, აშშ და სხვა. ისეთი ქვეყნების რაოდენობაც ბევრია, სადაც აღნიშნულ ტექნოლოგიაზე უარი თქვეს – მაგალითად: იტალია, გერმანია, ბრიტანეთი, ავსტრალია, პარაგვაი, ნორვეგია, ყაზახეთი, ირლანდია, გვატემალა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული არჩევნების ტექნოლოგიის დანერგვის რესურსი ბევრ ქვეყანას გააჩნია, მაინც ამჯობინებენ ხელით დათვლას და ქაღალდის ბიულეტენებს. ძირითად მიზეზად ელექტრონული ტექნოლოგიის არასანდოობა და კიბერსაფრთხეები სახელდება.

შეგვიძლია თემა უფრო დავაკონკრეტოთ: ხმის მიცემის ელექტრონული ტექნოლოგია არ საჭიროებს ინტერნეტს, თუმცა ჰაკერული თავდასხმის რისკი მაინც დიდია. ასევე არსებობს სხვადასხვა ტექნიკური ხარვეზები – მაგალითად, 2012 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხმის მიცემის აპარატურა კანდიდატების მონიშნას არასწორად ახდენდა, რამაც ბევრი ამომრჩეველი უკმაყოფილო დატოვა. ხმას აძლევდნენ ერთ კანდიდატს, ეწერებოდა მეორეს.

2015 წელს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა: „საქართველო-ესტონეთის ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოჩნდა, რომ ელექტრონული არჩევნების ჩასატარებლად მზად ვართ, მაგრამ აუცილებელია სხვა ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილებები, ელექტრონული პირადობის მოწმობის პოპულარიზაცია, ინტერნეტზე წვდომა ყველა ქალაქში, სოფელსა და რეგიონში“.

ამ განცხადების შემდეგ 5 წელიწადზე მეტი გავიდა. რასაკვირველია, საქართველო ახლა უფრო მეტად არის წინ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ბევრ ქალაქსა და სოფელში შევიდა ინტერნეტი, უფრო მეტმა ადამიანმა აიღო აიდი-ბარათი, მაგრამ მაინც, როგორ შეიძლება მივაღწიოთ სანდო და ელექტრონულ არჩევნებს, როცა საზოგადოებ-

ების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან მაინც გვაქვს გაუთვითცნობიერებლობა, სიბნელე და უნდობლობა კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში? დღემდე არ წყდება აიდი-ბარათებზე უამრავი დეზინფორმაცია, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა, რომ ეს არის სატანისტური პირადობის მოწმობა. ასევე გვახსოვს უარყოფითი რეაქცია 5G ინტერნეტის ანტენებთან დაკავშირებით. საზოგადოების ნაწილი კოვიდის გავრცელებას ამ ანტენებს უკავშირებს. 5G სისტემა არის უფრო სწრაფი ინტერნეტი, მეტი არაფერი, არავითარი სატანა, არავითარი დემონი. ასევეა აიდი-ბარათიც... შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასეთი პირადობის მოწმობის აღების შემთხვევაში ნამდვილად არ ამოგივათ რქები და არ დაიწყებთ ღამ-ღამობით ბავშვების ჭამას.

მოდით, ახლა დავსვათ ერთი მეტად ლეგიტიმური შეკითხვა: ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იღებს თანამედროვე ტიპის ელექტრონულ პირადობის მოწმობას იმის გამო, რომ სატანური ბარათი ჰგონია, რანაირად უნდა ჩაატარო ელექტრონული არჩევნები?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ტექნოლოგიის დანერგვას სჭირდება ფინანსური და ადამიანური რესურსი, საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, პერსონალის გადამზადება, კომპიუტერული სისტემების უზრუნველყოფა და ასე შემდეგ.

ელექტრონული ხმის მიცემის სისტემებს მრავალი ფუნქცია გააჩნიათ, მათ შორის დაშიფვრა-რანდომიზაციის და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემები. ეს უფრო დეტალურ ანალიზს მოითხოვს, რაც პროგრამისტების საქმეა. აღნიშნული ტექნოლოგია მოიცავს: ამომრჩეველთა ელექტრონულ სიებს, გამოკითხვის მოწყობილობების ერთმანეთთან დაკავშირების სისტემას (ინტერფეისს), ხმის მიცემის ერთმანეთთან დაკავშირების სისტემებს – სენსორულ ეკრანებს, ოპტიკური ნიშნის ამომცნობებს, ელექტრონულ ბიულეტენებს, სკანერებს, ვებ-გვერდებს. ასევე, სპეციალურ ინტერფეისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველისთვის, უსინათლოთათვის ბრაილის შრიფტს ან

აუდიო მოწყობილობებს, ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველებისთვის უფრო მარტივ წვდომას და გაუნათლებელი ამომრჩეველისთვის უფრო მარტივ ინტერფეისს.

ელექტრონულ არჩევნებს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, დადებით მხარეებში შეიძლება მოვიაზროთ: 1. სწრაფი დათვლა, 2. უფრო ზუსტი შედეგები (რადგან ადამიანური შეცდომა გამორიცხულია), 3. მარტივად შესრულება პროცედურებისა და საარჩევნო სისტემების ფორმულებისა, 4. გაუმჯობესებული პრეზენტაცია, 5. ამომრჩეველთა კომფორტის გაზრდა, 6. პოტენციურად გაზრდილი მონაწილეობა, 7. ზედმეტი ადამიანის ჩარევის გამორიცხვა და თაღლითობის პრევენცია უბნებზე, 8. გაზრდილი ხელმისაწვდომობა (უსინათლოთათვის აუდიო ბიულეტინები, საზღვარგარეთიდან ხმის მიცემა ინტერნეტის საშუალებით), 9. მრავალენოვანი მომსახურების შესაძლებლობა, 10. გაფუჭებული ბიულეტენების შემცირება (ელსისტემას შეუძლია გააფრთხილოს ამომრჩეველი ბათილი ბიულეტენის შესახებ – მაგალითად, თუ ამომრჩეველმა ცარიელი დატოვა გრაფა, ამ შემთხვევაში ბიულეტენი გაბათილდება, მაგრამ პროგრამა გვაფრთხილებს ამის შესახებ), 11. დაბეჭდვის ხარჯების შემცირება, 12. განაწილების ხარჯების დაზოგვა, 13. ბიულეტენების გადაზიდვის ხარჯების დაზოგვა და ა.შ.

უარყოფითი მხარეები: 1. გამჭვირვალობის ნაკლებობა, 2. შეზღუდული ღიაობა (კომპიუტერის არმცოდნე ადამიანისთვის რთულია ახსნა), 3. შეთანხმებული სტანდარტების არარსებობა, 4. საიდუმლოების პოტენციური დარღვევა (პირადი მონაცემების, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც ამომრჩევლის ამოცნობაა საჭირო), 5. ჰაკერების პოტენციური წვდომა სისტემაზე, 6. ინსაიდერების (პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო დაშვებულია საიდუმლო ინფორმაციასთან) ჯგუფის მიერ შესაძლო სისტემაზე წვდომა და ციფრებით მანიპულაცია, 7. გაზრილი ხარჯები ტექნოლოგიის შესყიდვისთვის, ფუნქციონირებისთვის, 8. ცალკე ხარჯები ადამიანური რესურსისთვის, 9. გადამზადების ხარჯები, 10. გარემოსდაცვითი მოთხოვნები აპარატურის უზრუნველსაყოფად (ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ.), 11. უსაფრთხოების მოთხოვნების გაზრდა ელტექნოლოგიების დასაცავად და არჩევნების გაუყალბებლად ჩასატარებლად, 12. ბიულეტენების გადათვლის შეზღუდული შესაძლებლობები, 13. ამომრჩეველთა დამატებითი განათლების საჭიროება, 14. სამართლებრივი ჩარჩო, 15. საზოგადოების ნდობის ნაკლებობა.

აი, ასეთი მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ტექნოლოგიური საარჩევნო სისტემები არსებობს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ე.წ. ოპოზიციის მხრიდან ეს თემა საერთოდ არ არის გაანალიზებული. ამათ ჰგონიათ, არჩევნების დღეს, დილით ცესკოში გამოცხადდებიან, წითელ "კნოპკას" თითს დააჭერენ და წავიდაააა, არჩევნები ჩატარდება ელექტრონულად. დღეს გამოდიან და აცხადებენ, არჩევნები გაზაფხულზე ჩავატაროთო, მარტში ან აპრილშიო, თანაც ელექტრონულადო. სასაცილოა, ამ ყველაფრის მომზადება-გადამზადებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება. ჩვენ საწყის ეტაპზე შეგვიძლია დავნერგოთ და გამოვიყენოთ ელექტრონული დათვლის სისტემა. ამ შემთხვევაში უფრო მარტივად არის საქმე. სხვათა შორის, მსგავსი პროექტი ცესკოს მიერ პირველად 2018 წელს შუალედურ არჩევნებზე ცაიშის თემის 3 საარჩევნო უბანზე წარმატებით განხორციელდა. საპილოტე პროექტის შემდეგი ეტაპი წყალტუბოსა და ტყიბულში 8 საარჩევნო უბანზე საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის, 2019 წლის 19 მაისს გამოიყენეს. თემა მეტად რთული და საკამათოა. ვიმეორებ, საქმე არ არის ისე, მიხვალ, თითს დააჭერ და არჩევნები ჩატარდება. ელექტრონული სისტემა უფრო მეტ სიფრთხილეს, მეტ ფინანსებს, მეტ ყურადღებას, გადამზადებას და განათლებას ითხოვს, ვიდრე "შამა-ჰაპურად" ჩატარებული.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ხვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

„ნაცმოძრაობა“, ოკუპანტის სპარინგპარტნიორი

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში და მის შემდგომ პერიოდში რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ „ნაცმოძრაობის“ დემაგოგიურ აღტყინებას ახალი საბაბი მისცა და ნაცებმა ძველებური რიხით დასცეს ყიჟინა: სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, დიდი გამარჯვებააო.

კი, გამარჯვება ნამდვილად არის, მაგრამ თქვენ ამ გამარჯვებასთან რა შუაში ხართ, ნაცებო?

— ამის შემდეგ ხომ მაინც ვერავინ იტყვის, ომი საკაშვილმა დაიწყოო, — ნიშნისმოგებით ლაპარაკობენ ნაციონალები, რითაც კიდევ ერთხელ უნდათ მოგვატყუონ და თვალში ნაცარი შეგვაყარონ.

საქმე ის არის, რომ სტრასბურგის სასამართლოს გამოძიების საგანი საერთოდ არ ყოფილა საკითხი, თუ ვინ და როგორ დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და კონკრეტულად ვის რა ბრალი მიუძღვის საომარი ბატალიების დაწყებაში.

ეს აბსოლუტურად სხვა თემაა და ის სხვაგან და სხვა სასამართლოს მიერ იქნება შესწავლილი და გამოძიებული.

სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საქართველოს სარჩელი იმ დანაშაულობათა შესწავლის მოთხოვნით, რაც რუსეთის მიერ იქნა ჩადენილი ოკუპაციის შედეგად მის კონტროლქვეშ მოქცეული საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს განაჩენი პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად აირეკლავს იმ დანაშაულებს, რაც თავად „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებას აქვს ჩადენილი საკუთარი მოსახლეობის წინაშე.

სწორედ „ნაცმოძრაობის“ უპასუხისმგებლო, დეზერტირული, შეიძლება ითქვას, მოღალატური და პროვოკაციული ქმედებების შედეგად მოხდა ის, რომ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა საბრძოლო მოქმედებების არეალში მოექცა.

საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას, თუ შეიძლება მას, საერთოდ, ხელისუფლება ეწოდოს, არანაირი ზომები არ მიუღია, რომ დროულად გაეფრთხილებინა ადგილობრივი მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

„ნაცმოძრაობის“ სამხედრო თუ სამოქალაქო ხელმძღვანელობა, როგორც კი რუსებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს ქართულ მხარეს, თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა ბრძოლის ველიდან, თბილისამდე შეუსვენებლად ირბინა, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობა მტერს პირისპირ შეატოვა ისე, რომ არც მოუკითხავს, არც კი დაინტერესებულა, რა ბედი ეწიათ ამ ადამიანებს.

ჰკითხეთ ნებისმიერ დევნილს ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლებიდან, ლიახვის ხეობიდან, თუ ეს ასე არ იყო.

ჰკითხეთ იმ ადამიანებს, რა ჯოჯოხეთის გავლა მოუწიათ, რომ სამშვიდობოზე გამოეყვანათ ოჯახები, მოხუცები, ქალები, ბავშვები, ეს იმ დროს, როცა „ნაცმოძრაობა“ თავისუფლების მოედანზე „გამარჯვების“ აღსანიშნავი კონცერტის ჩასატარებლად ემზადებოდა, ხოლო უპატრონოდ დაყრილი ქართველი ჯარისკაცების ცხედრები ბრძოლის ველზე ლპებოდა, მათი დამმარხავი კი არავინ ჩანდა.

ძარღვებში სისხლი შეიძლება გაგეყინოს, როცა მთლიანობაში წარმოიდგენ იმ შემზარავ, შემაძრწუნებელ ტრაგედიას, რაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების სულმდაბლური, პარანოიის ნიშნების შემცველი ქმედებების შედეგად საქართველოს დაატყდა თავს.

ეს ის ტრაგედიაა, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და არავინ იცის, როგორი იქნება მისი ფინალი.

გამაოგნებელია „ნაცმოძრაობის“ ურცხვი და უტიფარი მცდელობა, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტულ ძალად წარმოაჩინოს თავი, მაშინ, როცა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

სიტყვით ანტირუსული, საქმით წმინდაწყლის პრორუსული — ასეც შეიძლება შეფასდეს „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი „მოღვაწეობის“ პერიოდი და არა მარტო ეს პერიოდი, არამედ ოპოზიციაში ყოფნის პერიოდი — 2012 წლიდან დღემდე.

უძახო რუსეთს ოკუპანტი და ამ დროს აკეთო ის, რაც ოკუპანტის პოზიციებს კიდევ უფრო აძლიერებს და შენი ქვეყნის პოზიციებს ასუსტებს, განა ეს ოკუპანტთან ფარული თანამშრომლობის დამადასტურებელი ფაქტი არ არის?

„ნაცმოძრაობა“ ოკუპანტის ინტერესებს ემსახურება დღესაც, როცა აცხადებს, რომ პარლამენტში არ შევა და იგივეს გაკეთებას აიძულებს სხვა წვრილ-წვრილ პარტიებსაც, რომლებმაც ბარიერი გადალახეს.

„ნაცმოძრაობა“, რომელიც ღიად საუბრობს რევოლუციურ სცენარზე, ამბოხებასა და ავჯანყებაზე, განა უკიდურესად მომგებიან ფონს არ უქმნის ოკუპანტს, რომლის მიზანი არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის, არამედ მთელი საქართველოს გაკონტროლება და მისი გავლენების საბოლოოდ და სამუდამოდ გაძლიერებაა ამ რეგიონში?

„ნაცმოძრაობამ“, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და აღიარა, რომ ის პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა, რუსეთთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ძალაა, მეხუთე კოლონაა, რაც იმ დამოკიდებულებაშიც გაცხადდა, რაც „ნაცმოძრაობამ“ ფასილიტატორ ელჩებთან ურთიერთობისას გამოამჟღავნა.

მკვეთრად ქედმაღლური, აბუჩად ამგდები და შეურაცხმყოფელი ტონი, რითაც ისინი ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების ელჩებს ესაუბრებოდნენ, ფაქტობრივად, რუსეთისადმი გაგზავნილი მესიჯი იყო — ჩვენ მათ არ ვცნობთ! ჩვენ მათ არ ვემორჩილებით! ჩვენ მათ ანგარიშს არ ვუწევთ! ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ!

ეს მესიჯებიც რომ არ გაეგზავნათ, ისედაც ვიცით, ვინ ხართ და რას წარმოადგენთ, თქვენ, ნაცებო!

ვიცით, ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბრიდან, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებიდან, როცა „დასავლური ორიენტაციის“ საკაშვილს სპეციალურად ამ „დიდი მოვლენის“ აღსანიშნავად მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრენილმა იგორ ივანოვმა რეფერივით მარჯვენა აუწია და გამარჯვებულად გამოაცხადა.

ვიცით, იმ პერიოდიდან, როცა სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა, ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სტატუსი აღუდგინა, აღუდგინა კი არა, გაუფართოვა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დაარქვა, ამ ახლადგამომცხვარ „რესპუბლიკაში“ ახალგორი წიხლით შეტენა და ეს ყველაფერი ნინო ანზოროვნას პარლამენტს ოფიციალურად დაამტკიცებინა.

„ბრძენი“ სააკაშვილის და მისი ასევე „ბრძენი“ თანამოაზრეების ამგვარი „ორიგინალური“ და „მახვილგონივული“ ქმედებებით, მართალია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, სამაგიეროდ, თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა.

ახლა მათი დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ ცნობისთვის ერთი პატარა ბლიც-ომი იყო საჭირო და ეს ომიც 2008 წლის აგვისტოში „წარმატებით“ შედგა, რის შემდეგაც ორივე ეს სეპარატისტული წარმონაქმნი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

ხშირად სხვამენ კითხვას: ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი?

არსებობს ვერსია, რომ ეს ომი რუსეთმა დაა სააკაშვილმა ერთობლივად, შეთანხმებულად დაიწყეს.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომ სააკაშვილსა და რუსეთს შორის „სავაჭრო“ შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, რუსებმა კოდორის ხეობის ჩაბარებაში 50 მილიონი დოლარი გადაიხადეს, ხოლო „ნაცებმა“ ამ 50 მილიონიდან 25 მილიონი დოლარი კულაზმეტოვს გადასცეს, რომ ეს უკანასკნელი თავისი სამშვიდობო ძალებით ცხინვალიდან გასულიყო, რის შემდეგაც ქართული ჯარი „ძლევამოსილი“ მზედართმთავრის — სააკაშვილის, მეთაურობით ტრიუმფალური სვლით ცხინვალში შევიდოდა.

კულახმეტოვმა სიტყვა შეასრულა — ცხინვალიდან გავიდა, ცხინვალში ქართული საჯარისო ნაწილები შევიდნენ, მაგრამ ცხინვალში დაწყებული საბრძოლო დაპირისპირების შემდეგ კულახმეტოვი უკანვე შემობრუნდა და თან რუსეთის 58-ე არმია მოიყოლა თავისი ბომბდამშენებითა და ტანკებით.

ამ ვერსიას თუ ვირწმუნებთ, გამოდის, რომ რუსებმა სააკაშვილს პროვოკაცია მოუწყვეს და ხაფანგში შეიტყუეს.

მოდით, დავიჯეროთ, რომ სააკაშვილი იმდენად მიამიტი და გულუბრყვილო იყო, რომ ვერ გათვალა, რუსებს რა ვერაგული პროვოკაციის მოწყობა შეეძლოთ ამ გარიგებით.

კი, მაგრამ, რა ეტყობა სააკაშვილს გულუბრყვილობის და მიამიტობის?

სააკაშვილს შეიძლება ნებისმიერი რამ დააბრალო, მაგრამ მიამიტობას და გულუბრყვილობას ვერ დააბრალებ...

მაშინ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, რა მოხდა მანამდე, სანამ ეს ომი მოხდებოდა? რატომ დაერქვა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი, რატომ განაიარაღეს ადგილობრივი მოსახლეობა, რატომ ჩააბარეს რუსებს უბრძოლველად ეს ხეობა? რატომ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, რატომ გაივლო ის ადმინისტრაციული საზღვრები, რომლებსაც დღეს რუსების მავთულხლართები მიჰყვება?

ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხს ვერც სტრასბურგის სასამართლო გასცემს და ვერც — ჰააგის.

ამ კითხვებზე პასუხი საქართველომ და ქართულმა მართლმსაჯულებამ უნდა გასცეს!

სტრასბურგმა ნათლად გვითხრა, რა ჩაიდინეს რუსებმა მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ სტრასბურგი ვერ გვეტყვის, რას სჩადიოდნენ „ნაციონალები“ და მათი ბელადი მათ მიერ „ოკუპირებულ“ დანარჩენ საქართველოში.

ეს საქართველომ უნდა გამოიძიოს, საქართველომ უნდა შეისწავლოს და საბრალდებო ტომებად უნდა შეკრას, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაირკვეს: ის, ვინც ოკუპანტი, ოკუპანტის ბღავილით დარბის ქუჩა-ქუჩა, შემთხვევით თვითონ ხომ არ არის ოკუპანტის სპარინგ-პარტნიორი და მისი საიდუმლო მოკავშირე?

ვახტანგ ხარჩილავა

კავკასიური პლატფორმა

აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტების ინიციატივით გაჟღერდა იდეა რეგიონში ახალი პლატფორმის შექმნის შესახებ ექვსი ქვეყნის — თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, საქართველოს, ირანისა და სომხეთის მონაწილეობით. რა რისკებს, საფრთხეებს უკავშირდება კავკასიური პლატფორმის ამოქმედება, ამ საკითხზე გვესაუბრებიან ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე და პოლიტოლოგი სოსო ციცაძე.

მამუკა არეშიძე:

ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

— ბატონო მამუკა, გაჟღერდა ინიციატივა რეგიონში ახალი კავკასიური პლატფორმის შექმნის შესახებ, რაშიც ექვსი ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის, საქართველო და რუსეთი. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ჩანაფიქრი შემდეგია: რეგიონის კონტროლი ორი სახელმწიფოს — თურქეთისა და რუსეთის ხელში უნდა იყოს. უბრალოდ, რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით, აქ, ირანიც მოხვდა. სხვა შემთხვევაში, ირანი, კავკასიის კონტროლისთვის, თურქეთს არაფერში სჭირდება. თურქეთი შემდეგი ტიპის თამაშს თამაშობს: ერთი მხრივ, მას აზერბაიჯანის სახით რეგიონში უერთგულესი მოკავშირე ჰყავს. ამდენად, რუსეთის მიმართებაში ხდება ფაქტის დემონსტრირება, რომ მის გარეშე აზერბაიჯანი ნაბიჯს არ გადადგამს. აქედან გამომდინარე, თურქეთის არსებობა, კავკასიური პოლიტიკის მოგვარების საქმეში, აუცილებელია. მეორე მხრივ, თურქეთი ნატოს წარმომადგენელია ანუ, კავკასიაში მისი ყოფნით, ფაქტობრივად, რეგიონში ნატო შემოდის. მართალია, ეს თვალთმაქცური პოზიციაა, მაგრამ იგი ასე ამბობს. ეს რაც შეეხება თურქეთს. რუსეთისთვის კი, აბსოლუტურად, მიუღებელია კავკასიის საქმეებში რომელიმე სხვა ქვეყნის მონაწილეობა — გინდ თურქეთის და გინდაც სხვა დანარჩენის. მაგრამ უარესსა და ცუდს შორის ამ უკანასკნელს ირჩევენ. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის აქტივობისთვის წინააღმდეგობის გაწევა რუსეთს სულ უფრო და უფრო უჭირს. განსაკუთრებით, ეს შავი ზღვის აუზს ეხება. თურქეთის ჩართულობის გარეშე რუსეთისთვის შავი ზღვის აუზის პრობლემის გადაჭრა ბევრად რთულია. იმიტომ, რომ ის თურქეთის ხელშია. აქედან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს თავი მოიტყუოს და ის თამაში ითამაშოს, რაც თურქეთის მხრიდან კავკასიის რეგიონში დასავლეთის წარმომადგენლობას გულისხმობს, განსაკუთრებით, შავი ზღვის აუზში. როცა საქმე კავკასიის რეგიონის კონტროლზე მიდგება, ეს ნიშნავს პლუს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს. აი, ასეთი ავანტიურული გეგმა აქვს თურქეთს. არ მგონია, რომ რუსეთი, საბოლოო ჯამში, ამ გეგმაზე დასთანხმდეს, მაგრამ დროის გაწელვისა და მსჯელობის თვალსაზრისით მას ასეთი სამსჯელო ფორმატის არსებობა აწყობს. ახლა, რაც შეეხება საქართველოს — ჩვენ, სამწუხაროდ, არავინ არაფერს გვკითხავს. დიახ, საკითხი ასეა დაყენებული — არამხოლოდ ჩვენ, არამედ არც ჩვენს მეზობლებს, სომხეთზე აღარაფერს ვამბობ, აზერბაიჯანიც კი ამ საკითხში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. პატარა ქვეყნების ინტერესებს არავინ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარეა ყველა რისკი და გამოწვევა. ჩვენთვის ყველაზე მომგებიანი სიტუაცია მხარეების კონფლიქტზე თამაშია. ისტორიულადაც ასე ხდებოდა. ჩვენი ქვეყანა დასუსტებული იყო და ახლაც, ამ მდგომარეობაში ვართ. ისტორიულად ასე იყო: აპელირება ხდებოდა ხან ისპაჰანზე, ხან სტამბოლზე, ხან მოსკოვზე. იმიტომ, რომ გვჭირდებოდა არამხოლოდ, ცალსახად, ერთი მფარველი, არამედ ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეების დაპირისპირებაზე თამაში. ჩვენ, ნაწილობრივ, თავად ჩავიგდეთ ასეთ

მდგომარეობაში თავი, მეორე მხრივ, ეს სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რაც გვაქვს.

— როგორც ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველები, ჩვენ, თამაშგარე მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდით?

— დიახ, ჩვენ, უკვე, თამაშგარე მდგომარეობაში ვართ, ოღონდ, თქვენ, თუ ნატოსა და ევროსტრუქტურების წევრობას გულისხმობთ, ამ მიმართულებით, რასაკვირველია, არა, ეს ასე არ არის. მაგრამ ექვსი ქვეყნის ფორმატის შემთხვევაში, ნამდვილად, თამაშგარე მდგომარეობაში ვართ. მე, ჩამოვთვალე მინუსები. შეგვიძლია, პლუსებზეც ვილაპარაკოთ. ძალიან საეჭვოა, თუმცა, თუ ამ რთულ ვითარებას თავი გავართვით, შეგვიძლია, კავკასიური პოლიტიკის წარმოებაში მონაწილეობა ჩვენც მივიღოთ. კიდევ ვიმეორებ, ეს ძალიან საეჭვოა, მაგრამ აქაც, შეიძლება სხვა მოთამაშეებს შორის გარკვეული დაპირისპირების ფორმატი შეიქმნას. რუსეთისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია სამხრეთ-კავკასიაში თურქეთისა და ირანის აქტივობა. ირანისთვის მიუღებელია თურქული გავლენების გაძლიერება. მოკლედ, წინააღმდეგობრივი ფორმატი არსებობს, რამდენად მოვახერხებთ ამ სიტუაციაში მღვრიე წყალში თევზის დაჭერას, ეს ძალიან საეჭვოა. თუმცა, ასევე, გააჩნია რამდენად დაინტერესებული იქნება აშშ და ევროკავშირი ამ ტიპის პლატფორმის არსებობით. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, შანსები გვაქვს, მაგრამ გამოწვევები და რისკები იმდენად მაღალია, რომ მისი დაბალანსება ძალიან რთული იქნება.

— ჩვენი გეო-პოლიტიკური მდგომარეობა განზე გაიწია. მართალია, კავკასიის პლატფორმაში ჩვენც გვასახელებენ, მაგრამ მიზანი ხომ კავკასიის რეგიონიდან ჩრდილო-ატლანტიკური მისწრაფებების ამოგდებაა?

— კი, რასაკვირველია, ეს მიზანი არსებობს იმიტომ, რომ თურქეთი ასე თვლის: ამ რეგიონში დასავლეთის წარმომადგენელი მხოლოდ ის უნდა იყოს, პირველ რიგში, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისი თ. თურქეთი კი თვლის ასე, მაგრამ ნატოში უფრო ძლიერი და სოლიდური ქვეყნებია გაწევრიანებული და მათ შეუძლიათ სხვა პრინციპით იმოქმედონ. იმოქმედებენ, კი? — აქ, კითხვის ნიშნები არსებობს. ამ ბოლო დროს დასავლეთის პოლიტიკური კონსოლიდაცია, ერთობა ძალიან ამორფული გახდა. ხომ ხედავთ, ერთმანეთში ვერ მორიგებულან ჩრდილოეთის ნაკადის პრობლემასთან, იგივე, თურქეთთან დაკავშრებით და ა.შ. ასეთი რამ არასდროს ყოფილა, რომ ნატოს წევრი ორი სახელმწიფო პოლიტიკურად მესამე სახელმწიფოს დაპირისპირებოდეს, როგორც ახლა, საფრანგეთი და საბერძნეთი არიან თურქეთთან დაპირისპირებულნი.

— როგორ ფიქრობთ, თუ დავიჩემეთ ნატოში შევდივართო, შეეცდებიან ჩვენს ფუნქციას რეგიონში საერთოდ ხაზი გადაუსვან?

— ჩვენს მეზობლებს რომ ამ მისწრაფებაზე ხაზის გადასმის სურვილი აქვთ, ეს უკვე დიდი ხანია ჩანს. ირანისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით რუსეთზე. თურქეთსაც, მაინცდამაინც, არ აწყობს, რომ ამ რეგიონში იყოს სხვა ქვეყანა, რომელიც მასთან ერთად ნატოს წარმომადგენლობის ფუნქციებს გადაინაწილებს. ნატოს წარმომადგენლობა ხომ ჩვენს ქვეყანაში ნატოს ბაზებს ნიშნავს. თურქეთს უნდა, რომ ყველაფრის მაკონტროლებელი თავად იყოს. აქ, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სივრცე არის შავი ზღვის აუზი. თურქეთს ვერ წარმოუდგენია, რომ ამას, მის გარდა, კიდევ სხვა აკონტროლებდეს. რუმინეთი და ბულგარეთი რომლებიც ნატოს წევრები არიან და შავ ზღვაზე გამოდიან, პრინციპში, თავისი ამ რეგიონალური პოლიტიკით, მაინცდამაინც, თავს არ იწუხებენ. აქედან გამომდინარე, თურქეთს პრობლემებს არ უქმნიან. საქართველო რომელიც აქტიურ რეგიონშია განლაგებული, შეიძლება, მომავალში მათთვის პრობლემატური გახდეს. ამიტომ, მაქსიმალურად გამოიყენებენ მათრახის პოლიტიკას და შეეცდებიან საქართველო ნატოში დიდხანს არ მოხვდეს.

— ყარაბაღის მოვლენები რამდენად კავშირშია კავკასიის პლატფორმასთან?

— პირდაპირ კავშირშია. თურქეთი სამხერთ-კავკასიის სამხერდო-პოლიტიკურ სივრცეში ასწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. თავისას მიაღწია. რუსეთმა ასევე, შეისრულა დიდი ხნის ოცნება — დაბრუნდა აზერბაიჯანში და არსად წასვლას არ აპირებს. ხუთი წლის გასვლის შემდეგ, როგორც ხელშეკრულებაში წერია, იგი, ყარაბაღიდან ფეხის მომცვლელი აღარ არის, ზუსტად, იმიტომ, რომ თურქეთის გავლენები არ გაზარდოს. თურქეთი და რუსეთი მოკავშირეების, პარტნიორების როლებს თამაშობენ, სინამდვილეში, ერთმა-

ნეთის დაუძინებელი მტრები არიან. უბრალოდ, ეს თემა, დღეს, მათთვის საინტერესოა, რათა რეგიონში შემოღწევაში სხვას შეუშალონ ხელი. როგორც კი დანარჩენები რეგიონში აქტივობაზე უარს იტყვიან, მაშინვე ერთმანეთის ჯამას დაიწყებენ, რაც ისტორიულად არის განპირობებული.

— რას იტყვით, იან კელის განცხადებაზე: რატომ სურს საქართველოს კავკასიური პლატფორმის ხელშეწყობა, როცა ეს ნიშნავს თქვენს რეგიონულ საქმეებში რუსეთისა და ირანისთვის ხმის მიცემის უფლებასო?

— იან კელის ეს განცხადება, აბსოლუტურად, ნიადაგგამოცლილია და სხვათა შორის, მე, არ მომეწონა ეს გამონათქვამი და ცოტა აგდებულიც კი მომეჩვენა. მან ძალიან კარგად იცის როგორ ვითარდება სიტუაცია, ასევე, აშშ-ს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და თავშეკავებულობაც. როცა ამ ყველაფერს ხედავ და იცი, რომ ქვეყანა, კონკრეტულად, საქართველო ამ წუთას გამოუვალ მდგომარეობაშია, ასე მგონია, იან კელის ასეთი შეფასების უფლება არ ჰქონდა. კელი ასწავლის ნებისმიერ მოაზროვნე ქართველს რა ხიფათის შემცველია გინდ რუსეთის, ირანის ან თურქეთის აქტივობა? რატომ თურქეთი არ დაასახელა? ამაშია, საქმე. ჩვენ ჭკუის სწავლება კი არა დახმარება გვჭირდება. ასე, რომ კელის ამ შენიშვნას ვერ მივიღებ.

— რა მოლოდინი გაქვთ, რა ნაბიჯებს გადადგამს ხელისუფლება?

— არ ვიცი, ჩვენი ხელისუფლება როგორ შეაფასებს ამ ფორმატს და მუშაობს თუ არა ვინმე, ანალიზის თვალსაზრისით, ამ საკითხზე. იმედია, მუშაობენ.

— წლების წინ, დუგინმა განაცხადა: არავინ იფიქროს რუსეთს კავკასია მხოლოდ თავისთვის უნდა, აქ, სხვა სახელმწიფოების ინტერესებიც არის — ირანის, თურქეთის და ჩვენ, ყველა მათგანს გავითვალისწინებთო.

— გამორიცხულია. სივრცე არის პატარა, ინტერესები — დიდი. კიდევ არსებობს ადგილობრივების — რეგიონში მაცხოვრებლების ინტერესები. გამორიცხულია, ყველას ინტერესები გაითვალისწინონ. დუგინის განცხადება ჩვეულებრივი დემაგოგიაა. რა უნდა გაითვალისწინონ?! ჩვენი ინტერესები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ისეთი რეგიონალური პოლიტიკის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც აქაურ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს მეტწილად დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოონ და დადებითი შექმნან თავისი რეგიონისთვის და საკუთარი ქვეყნებისთვის. ამის საშუალება ხომ, პრაქტიკულად, არ არის. ყოველდღიურად არის კარნახი, მითითება, ჩარევა. ეს ეხება სამივე ქვეყანას და არა მხოლოდ საქართველოს. ჩარევა როცა ხდება, ეს უმთავრესად კეთდება არა რეგიონების ქვეყნების, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამას აკეთებს თურქეთი, რუსეთი, დასავლეთი. ახლა, კიდევ გააქტიურდა ჩინეთიც. ირანი რომ გითხრათ, მაინცდამაინც, აქტიურობს-თქო, ასე არ არის. მაგრამ ირანის აქტიურობა უფრო კულუარულ მუშაობაში გამოიხატება, რაც, სხვათა შორის კარგად ჩანს. რუსეთივით არცერთი იქცევა. ეს მხოლოდ რუსეთის თვისებაა. რუსეთის იმპერა, ოდითგანვე, ამ თვისებით იყო ცნობილი, რომ ის აუცილებლად მაღალ ხმაზე გასცემდა ბრძანებას და იარაღს აჟღარუნებდა. ეს გახლავთ ამ ქვეყნის თვისება, თორემ, ისე, სხვებიც არ აკლებენ ხელს, ოღონდ, ისინი სხვადასხვა ფორმით მოქმედებენ — ზოგი ფინანსურად, ზოგი ჰუმანიტარულად, ზოგი საგანმანათლებლო კუთხით და ა.შ. რაშიც თურქეთი ფულს იხდის, იმაში რუსეთი არ იხდის იმიტომ, რომ ეს მათი თვისებაა. ირანელებიც იხდიან ფულს, დასავლეთელებიც, ჩინელებიც უზარმაზარ ფულს იხდიან, რუსეთი — არა.

სოსო ცინცაძე,
პოლიტოლოგი:

— ბატონო სოსო, ერდოღანის ინიციატივას კავკასიის პლატფორმის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. როგორ ფიქრობთ, რა რისკები, საფრთხეებია ამ იდეაში საქართველოსთან მიმართებაში?



— დავიწყოთ იქედან, რომ აქ, იკვეთება ერთი დეტალი, რომლის თაობაზეც სამი ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ — პუტინი, ალიევი და ფაშინიანი. მხედველობაში მაქვს, მოსკოვში გამართული შეხვედრა. პირდაპირ ვიტყვი, აზერბაიჯანი სომხეთს საქართველოს ინტერესებისთვის სარისკო გარიგებას სთავაზობს. ალბათ, სომხეთი, დიდი ალბათობით, დასთანხმდება. მოგახსენებთ, რაშია საქმე: სომხეთს, 90-იანი წლების შემდეგ, რუსეთთან დამაკავშირებელი ჰქონდა საჰაერო და საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ახლა, არასაიმედოა, ჩაკეტილია და ზამთარში კვირაობით დგას ტრაილერები. სომხეთის ტერიტორიის, ნახჩევანის, გავლით აზერბაიჯანს საშუალება მიეცემა ირანს და თურქეთს დაუკავშირდეს. ასევე, სახმელეთო გზით სომხეთს საშუალება მიეცემა რუსეთს დაუკავშირდეს. საქართველოს ინტერესი რაშია? — იგი კარგავს აზერბაიჯანის გაზის სატრანზიტო ფუნქციას, არა? იქ, არის ახალი პროექტი, გაზის მილსადენის, ევროპაში გასაყვანი, სწორედ, ამ მარშრუტით — სომხეთის ტერიტორია, შემდეგ, ნახჩევანი და ირანი, თურქეთი. მაგრამ ეს ძალიან ძვირია, თითქმის, 40 მილიარდ დოლარამდე შეიძლება დაჯდეს. მაგრამ ჩვენთვის, ფაქტია, საინტერესო უნდა იყოს. ადრე, როცა აზერბაიჯანთან სხვა ურთიერთობები გვქონდა, არ მგონია, მას აზრად მოსვლოდა ასეთი პროექტი, რომელიც საქართველოს სატრანზიტო ფუნქციებს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ახლა, ამ ექვსი ქვეყნის პლატფორმა არასიცოცხლისუნარიანია, რადგან ამ ქვეყნებს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ აქვთ. ვგულისხმობ, რუსეთსა და საქართველოს. დღეს, პუტინმა, ერთი შეხედვით, ყველაზე ქმედითი იარაღი გამოძებნა. მარქსიზმის იდეარა იყო — აზროვნებას ყოფითი პირობები განსაზღვრავს. ამიტომ, კონფლიქტების გადაჭრა უფრო ადვილია თუ ამას ეკონომიკური პრობლემებიდან მივუდგებით — ვაჭრობა, რაც პირდაპირ დაკავშირებულია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან. ჩვენ, რა სიტუაცია გვაქვს? — დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამერიკის ცერეუზე უფრო ჩაკეტილი ინსტიტუტი. არ ვიცი, კავკასიური პლატფორმის საკითხზე, შეთანხმება მოხდა თუ არა. საჯარო განცხადებები, ქსენია დიასახლისისთვისაა. ეს პლატფორმა რომ ამუშავდეს, პირველ რიგში, რაღაც ურთიერთობები უნდა დამყარდეს. ეს ხომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი არ არის, სადაც იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ ფრენები აღდგეს. ეს დამოკიდებულია დიპლომატიურ ურთიერთობაზე, ფართომასშტაბის ეკონომიკურ პროექტებზე. პუტინი, თითქოს, გარედან მეთვალყურეა და ცდილობს მშვიდობა დაამყაროს. სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემდეგ, რეგიონში მშვიდობისმყოფელები შეიყვანა და ამბობს: თქვენ თუ შეთანხმდებით, მე, თანახმა ვარო. არ მგონია ერდოღანი ასეთი პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი ფართოდ ჩაერთოს ამ პლატფორმის პერსპექტივის საქმეში, სანამ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესების მიმართულებით ნიადაგს არ მოსინჯავს. ამის ნიშნებს კი, ვერ ვხედავ. ისევ ხდება ჩვენი მოქალაქეების გატაცება, ბორდერიზაცია, მცოცავი ანექსია. ამიტომ, ეს საკითხი უფრო მეტ სინათლეს და საჯაროობას თხოულობს — რას მიიღებს საქართველო აქედან და რის საფასურად. თავის დროზე იყო პროექტი — სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რუსეთსა და სომხეთს შორის აფხაზეთის გავლით. მაგრამ, რის სანაცვლოდ, გაუგებარი იყო. ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი ამას ემხრობოდა, ასევე, ივანიშვილის ზოგიერთი მინისტრიც. დიპლომატია თუ კარგი გაგებით ვაჭრობაა, ეს როდი ნიშნავს, რომ მე — შენ და შენ — მე, არაფერი. ამიტომ, დღეს რიგითი მოქალაქეები მხოლოდ რისკებს ვხედავთ. ზოგადი განცხადებები, თითქოს, მთელი კავკასიის ყველა ქვეყანა მოიგებს, მათ შორის, საქართველოც, ასე არ არის. ასე მხოლოდ სამოთხეშია, სადაც ყველა კმაყოფილი და მოგებულია. ვიღაცამ, რაღაც უნდა დათმოს. ვინ, რა უნდა დათმოს? მე, მეშინია, რომ ყველაზე მეტი დასათმობი საქართველოს აქვს. ამიტომ, არ მგონია ეს პლატფორმა სიცოცხლისუნარიანი იყოს, მით უმეტეს, ახლა, როცა სტრასბურგის სასამართლომ მართლაც ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება გამოიტანა. თუმცა, როგორც კი ეს ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის ფუნქციაში გადავა, იქ, გაჭიანურდება. თუ ეს პროცესი 12 წელი გრძელდებოდა, კომპენსაციის საკითხის განხილვა ორჯერ 12 წელი გაგრძელდება. გარდა ამისა, რუსეთს არც 10 მილიონი ევრო არ გადაუხდია. ეს ჩემთვის და შენთვის ერთი თეთრის ტოლფასია, მაგრამ პრინციპულად არ იხდის ჩვენი მოქალაქეების გამოყრისთვის, რაც სასამართლომ დაუწესა.

ერთადერთი პრობლემური ქვეყანა რუსეთისთვის, ეს საქართველოა. ვინაიდან, აქ, რუსეთი ხელისუფლებას რომც გაურიგდეს, მოსახლეობა ისეა განწყობილი, რომ მისი ნების წინააღმდეგ ნაბიჯს მთავრობა ვერ გადადგამს. ამიტომ, კავკასიის პლატფორმა რეალურად არ მიმაჩნია. ამას ვამბობ საჯარო განცხადებებზე დაყრდნობით, რაც ცნობილია. ჩვენთვის, ამ გარიგებების ნახევარი პროცენტიც არ არის ცნობილი. მაგალითად, მე, არ ვენდობი ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო განცხადებებს. ბევრი სარისკო მომენტებია. საქართველოს ხუთი სახელმწიფოს არგუმენტაციის წინააღმდეგ გამოსვლა მოუწევს. ეყოფა კი საქართველოს მთავრობას პოლიტიკური ნება, თქვას — არა. კარგია, რომ ეს იდეა ამერიკაში ხელისუფლების შეცვლას დაემთხვა. ცოტა მხარდაჭერის იმედი გაიზარდა, თუმცა, რამდენად არ ვიცით, ბაიდენი როგორც პრეზიდენტი საქმეში ჯერ არ გვინახავს. ბაიდენს ტრამპმა ამერიკაში პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ისეთი დანაღმული ველი დაუტოვა, რომ რამდენად მოიცლის ჩვენთვის და საერთოდ, საგარეო პოლიტიკისთვის, საკითხავია.

მხოლოდ „საერთო გაზეთი“ დაინტერესდა კავკასიური პლატფორმის საკითხით და ეს ძალიან კარგია. სხვას, ეს პრობლემა არ აინტერესებს. ხომ უნდა გავიაზროთ, რა არის მთავარი. სასაცილოა, მედიაში რაზეც მიდის მსჯელობა — კაცს თავს აჭრიდნენ და მაზოლი არ მატკინოთო, ისეა საქმე. ქვეყანა ამ დღეშია და ელისაშვილი შევა თუ არა პარლამენტში, ამას განვიხილავთ. არადა, ბევრად სერიოზული პრობლემების წინაშე ვართ.

ასეთ რეალობაში კავკასიის პლატფორმა ძალიან საშიში ნაღმია. ამის საბოლოო მიზანი შეიძლება იყოს რაღაც ეკონომიკური პერსპექტივის სანაცვლოდ როგორმე საქართველო შეაგუონ აფხაზეთის და ოსეთის დაკარგვას და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას. ეს მხოლოდ ვარაუდია. საერთოდ, ასეთ რეალობაში სჯობს ყველაზე ცუდი განვითარების სცენარით ხელმძღვანელობდე და სიფრთხილეში გადააჭარბო, ვიდრე დააკლო და გულუბრყვილობასა და დილეტანტიზმში გადავარდე.

ეს ექვსი სახელმწიფოს პლატფორმა ძალიან საშიშია. თითქოს, გვყავს ექსპერტები, მაგრამ ანალიზი არსად წამიკითხავს: რა საფრთხეები გველის და ა.შ. ვნახოთ, როცა კორონავირუსი მეორე პლანზე გადავა, მეტი სიცხადე და საჯაროობა იქნება.

— დუგინმა, 5 წლის წინ, განაცხადა: საქართველო — სვანები, ქისტები, მეგრელები იმპერიალისტი ქართველებისგან უნდა გავათავისუფლოთო.

— კი, ეს ცნობილია. მანამდე, სახაროვმა 80-იანი წლების დასასრულს პატარა იმპერია გვიწოდა. ეს სიახლე არ არის. დუგინისგან არ უნდა გაგვიკვირდეს. მივაქციოთ ყურადღება შემდეგს: 30 წელია დამოუკიდებელი ვართ, საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა ქართულია და სომხეთით, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე ახალგაზრდობამ ქართული არ იცის. ეს იცი რატომ არის საშიში? — ვინც დღეს ქართულად არ ლაპარაკობს, ის პოლიტიკურად ქართველი არ არის.

თაობა წავიდა, ახალი მოვიდა და არც მათ არ იციან ქართული. რას აკეთებს განათლების მინისტრი, აღარ მინდა პირადი შეურაცხყოფა მივაყენო. რეგიონებში სადაც ყველა დოკუმენტი ოფიციალურად ქართულად დგება, ქართული არ იციან.

ამ პლატფორმის საკითხი რომ მწვავედ დადგება, მთელი ქვეყნის ერთიანობა დაგვჭირდება, ვინაიდან ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა არ თქვას: რუსეთი რასაც ამბობს, ჩემთვის სასარგებლოაო. ამიტომ, ეს საკმაოდ საფრთხილო თემაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ღია წერილი „სეერთაშორისო ექსპერტ“ ხათუნა ლაგაზიძეს

დავო ხათუნ, იცი, ვინ გამოაგდო ჯულიეტა ვაშაყმაძე და მისი მეუღლე ტელევიზიიდან? ვინ და „ნაციონალებმა“

დავო, ხათუნ!

ბოლო დროს ტელევიზორიდან ვიგებ შენს ამბებს. რამდენჯერაც უნებლიედ გადამერთო მიხას არხებზე, იმდენჯერ შენ შამამეფეთე ცნობილ ტარტაროზებთან ერთად. ზიხარ და ექსპერტაობ... არაფერი გაგეგება ამ ქვეყნიერებისა და მაინც ექსპერტაობ, თან იგეთი მედიდური გამომეტყველება გაქვს, გეგონება ახალი დედა ხარ ქართვლისა მთაწმინდის ფერდობზე გადმომდგარი.

გიყურებ, ლაგაზიძევ, გიყურებ და... მიკვირს, რეიზა ჰგაზავ ეგრე ძალიან, რეიზა ერისდედაობ? რა გინდა, რას ექსპერტაობ, რას ჩირთიფირთაობ?!

ამ წერილს არ დავწერდი (ნამდვილად არ ღირხარ ამად), რომ არა ჩაჯვი გვარამიას უბორნიაში შენს მიერ წაკითხული ე.წ. მონოლოგი. დიახ, იმას ვგულისხმობ, ჯულიეტა ვაშაყმაძის გამო რომ მოგვმართე "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს და ფაქტობრივად "გაგვანადგურე".

ჰა, ჰა, ჰა!

შენი განადგურებული არ გაიშვა შენსავე სასტუმრომდე, მაგრამ მაინც... სიტყვის მასალადა ვთქვი.

ესე იგი, გადმოსდექ გვარამიას ე.წ. "მთავარი არხიდან" და ლამის ნახევარი საათი გვამუნათე, "ოცნების" მხარდამჭერები ჯულიეტა ვაშაყმაძის პანაშვიდზე "ვენოკებით" რატომ არ მიხვედით, ხედავთ, ბიძინა ივანიშვილმა რას დაგამსგავსათო? აა, შეგეშინდათო? ყველაზე ამაზრზენი კი ის იყო, თავხედურად რომ მოგვიწოდე, ახლა თქვენ იცით, ახლა თქვენ ხედავთ, ვის მხარესაც უნდა დადგეთ, ნუ გეშინიათ, დადექით სიმართლისა და სიმამაცის მხარესო.

ჰა, ჰა, ჰა!

რომელი სიმართლის მხარეს, ქალო?

რომელი სიმამაცის მხარეს, ქალო?

მიხაკო სააკაშვილის მხარეს? იქნებ თემურ ალასანიას მხარეს? მიდი, მიდი, დაასახელე, იქნებ მაჭუტაძეებისა და ხაბაზების მხარეს უნდა დავდგეთ? შალიკო ნათელაშვილი და თაკო ჩარკვიანი არ გამოგრჩეს!

ბიძინა ივანიშვილმა ასე როგორ დაგაშინათ, ასე რანაირად დაგაჩაჩანაკათ, ჯულიეტა ვაშაყმაძის პანაშვიდზე მისვლას რომ ვერ ბედავთო?

ჰმ, ქალო... ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილი არ არის ის კაცი, ვინმე დააშინოს, სულაც არ აინტერესებს, ვინ ვის პანაშვიდზე ივლის და ვინ როგორ "ვენოკებს" მიიტანს მავანთა დაკრძალვებზე. მეტი საქმე არ აქვს!

დავო, ხათუნ, გაიღვიძე, ეგეთი რაღაცები დამთავრდა, ეგ მაშინ იყო, მიხაკოს დროს, როცა რუხ კარდინალად თქვენი ახლანდელი ბელადი, თემურ ალასანია მუშაობდა. მახსოვს, 2012 წლის სექტემბერია, "ნაცმოძრაობას" უჭირს, "ქართული ოცნება" მოდის, ერთ ნაცპარლამენტარს მამა გარდაეცვალა, სოფელში უნდა დაეკრძალათ. წავედი, რომ არ მივსულიყავი, არ შეიძლებოდა, მისი მამა მამაჩემთან მეგობრობდა. გზად "ნაცები" გადამეყარნენ, გამაჩერეს, ყურში ჩამჩურჩულეს, დაკრძალვაზე არ მიხვიდეო. რატომ-მეთქი? იღებენო. რას იღებენ-მეთქი? ვიდეოს იღებენო. ოჰ, ეტყობა, ოჯახს სჭირდება, მაგრამ მე რატომ არ უნდა მივიდე-მეთქი? არაო, ოჯახს კი არა, უშიშროება იღებსო, "ქართული ოცნების" დავალებითო, ჩვენ ვერ მივალთო, არც პანაშვიდზე ვყოფილვართო. ბევრი ვიცინე, იღებენ არა, ისა, ვის რა ფეხებად უნდა-მეთქი? იცით, ეს "ნაცები" ვინ იყვნენ? იმ ნაცდეპუტატის ყოფილი "პადელნიკები". როგორც კი ამას ყავლი გაუვიდა, თავები შორს დაიჭირეს, მისი მამის პანაშვიდზეც კი არ მივიდნენ. მანამდე მის ჯიბეზე ეკიდნენ და ელაქუცებოდნენ.

აი, დავო, ხათუნ, ეს არის ნაცხროვის ხელწერა, ანუ თქვენი სტილი და ხელწერა. თქვენ გგონიათ, დღეს "ქართული ოცნების" ამომრჩევლებს ისე ეშინიათ, მავანთა პანაშვიდებზეც კი ვერ დადიან.

ჰა, ჰა, ჰა!

რა სასაცილო ხარ, ქალო?!

ეგა, პირიქით არი, ასინეთა, პირიქით, დღეს სახელმწიფო სამსახურებში იმდენი "ნაცი" და "საბოტაჟნიკია" შეყრილი, მე და ჩემნაირები შეშფოთებულ-აღშფოთებულნი ვართ, მაგრამ მათ არავინ ერჩის!

დიახ, ბიძინა ივანიშვილს დედას აგინებენ და მათ არავინ ერჩის!

ვალერი გელაშვილი გახსოვს? მიხო სააკაშვილის ცოლზე წაუცდა სიტყვა და მიასიკვდილეს. გაიგონე? მიასიკვდილეს, კაცი შენელებულ კადრად აქციეს, მოსპეს, გაანადგურეს!

რა შიში, რეებს ბოდიალობ, სინამდვილეში ხომ სხვა ბოღმა გახრჩობს... სინამდვილეში ხომ პირადი ინტერესი გაქვს? ან კი რა ინტერესი უნდა გქონდეს? 2012-ში ბოდიალობდი, რაღაც გინდოდა, "ქართულ ოცნებას" უარე გარშემო, არ მიგიღეს, ახლოს არ გაგიკარეს და მას შემდეგ აღარ ისვენებ. მერე პოლიტიკოსობა სცადე, პაატა ბურჭულაძესთან გავარდი, მაგრამ იქიდანაც ხელმოცარული წამოხვედი. შენ და მერაბ მეტრეველმა ვერ გაარკვიეთ, სად იყავით და რა გინდოდათ. პოლიტიკოსობა არ გამოგივიდა, ისევ ექსპერტობას მიუბრუნდი, ადრე ჩვეულებრივი იყავი, როგორც ედუარდ შევარდნაძე იტყოდა, ეხლა "სეერთაშორისოც" გამხდარხარ. შევარდნაძე შემთხვევით არ მიხსენებია, 1996–2001 წლებში მის კარზეც გიმუშავია, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს ანალიტიკურ დეპარტამენტში და წამყვანი სახელმწიფო მრჩეველიც ჰყოფილხარ. მე არ ვიცი, რას ნიშნავს წამყვანი მრჩეველი, მაგრამ ახლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა... დღეს ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ადამიანი, რომელსაც არც ანალიზი უვარგა, არც ვარაუდი, არც საუბარი, არც წინასწარმეტყველებანი და საერთოდ, გაგნებაში არ არი, რაღაც გაუგებარ ლექციას გვიკითხავს მიხო სააკაშვილის უბორნიებიდან

ჰა, ჰა, ჰა!

ხედავთ, ბიძინა ივანიშვილმა რას დაგამსგავსათო?

ბიძინამაო, ხალხო, ივანიშვილმაო... არ გრცხვენიათო? ეგეთ საქართველოში ცხოვრება გინდათო? მეც მეუბნება ("ქართული ოცნების" ამომრჩეველი ვარ), რას დაგამსგავსა ივანიშვილმა, რას ჰგავხარო?!

ეს მეუბნება, ხათუნა ლაგაზიძე, ვითომ ექსპერტი!

ხათუნაა! ლაგაზიძეეევ! ეხლა ძაანაც ნუ დაგაზავ, რაااა!

პანაშვიდებსა და დაკრძალვებზე ვინ სად ივლის და როგორ ივლის, ეგ შენი გადასაწყვეტი არ არი!

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს გარდაცვლილი დედა ჯერ კიდევ წინ ესვენა, როცა ორი ნაძირალა (გვარამია და გაბუნია) პირდაპირ ეთერში აგინებდა... დედამოტყნული სვავიო, რომ იძახდნენ, გახსოვს?!

ჰოოო... გახსოვს, როგორ არა!

მაშინ ხმა ამოიღე? შე ცუციკავ, გვარამიას რამე გაუბედე? რატომ არ მიმართე, რომ გარდაცვლილი დედის გინება არ შეიძლება? რეიზა შეგეშინდა? ვის ეძახი, ქალო, მშიშარას? ერთს რომ იძახი, მეორეც მიაყოლე.. შენ იცი თუ არა, ბიძინა ივანიშვილი ჯულიეტა ვაშაყმაძეს 1990-იანი წლებიდან მოყოლებული 1000 ლარს რომ აძლევდა ყოველთვიურად? იცი, მაგრამ მაგაზე როგორ იტყოდი რამეს?

დიახ, ჯულიეტა ვაშაყმაძემ ჯორი ბიძინა ივანიშვილის ფულით გაზარდა, მერე ამ ჯორმა ჩაჯვი გვარამიას უბორნიაში დაიწყო მუშაობა და ბიძინა ივანიშვილს დღემდე დედას აგინებს.

უიმე, ჯულიეტა რომ გარდაიცვალა, რეიზა არ დააფასეთ, "ქართული ოცნების" მომხრეები და თანამდებობის პირები "ვენოკებით" რეიზა არ მიხვედით, შეგეშინდათო? რაღა დაგიმალო და... მე და ქალბატონი ჯულიეტა ერთ ჭერქვეშ ვმუშაობდით 14 წლის განმავლობაში, 1987 წლიდან 2001 წლამდე. როცა საქტელერადიო კომიტეტში ზაზა შენგელია მოვიდა თავმჯდომარედ. განცხადება დავწერე და წამოვედი, ფაქტობრივად გამოვასწარი. ჰოდა, ძალიან კარგად ვიცი, ვინ რას აკეთებდა სახელმწიფო ტელევიზიაში იმ დროს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება რომ დაამხეს. ჰოოო... არ გინდათ ეხლა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ყველაფერი ვიცით, ყველაფერი შევამჩნიეთ, ყველაფერი გვახსოვს. უბრალოდ, ახლა არ მინდა იმ ამბების გახსენება.

იცი, ვინ გამოაგდო ჯულიეტა სამსახურიდან 2004 წელს? თამარ კინწურაშვილმა, ზაზა შენგელიას მემკვიდრემ, დღემდე "ნაციონალების" მსახურმა, დღემდე მიხო სააკაშვილის დორბლის მწმენდავმა.

"ნაციონალებმა" გამოაგდეს ჯულიეტა ვაშაყმაძე სამსახურიდან და ქმარიც ზედ მიაყოლეს, რომელიც რეჟისორი იყო! მერე იარა სასამართლოებში, მაგრამ ვერ იპოვა სამართალი. ვერც უნდა ეპოვა, სად იყო რო? რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი? რა შუაში ვართ "ქართული ოცნების" მხარდამჭერები?!

დავო, ხათუნ, ძალიან უშნოდ წაგიგრძელებია ენა და მოსახლეობის დიდ ნაწილს ჭკუაზე გვარიგებ... თან გვამუნათებ, არ გრცხვენიათო? ვერ ხედავთ, ბიძინა ივანიშვილმა რას დაგამსგავსათო?!

ჰა, ჰა, ჰა!

შენ თვითონ რას ჰგავხარ, თემურ ალასანიამ და მიხო სააკაშვილმა რას დაგამსგავსეს, ქალო? ისე, მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს არც ამ ქოფაკებს სჭირდები, უბრალოდ საკუთარი ინიციატივით ეტენები. ვის ეტენები, ქალო, არ უნდა დაფიქრდე? შენ ხარ სეერთაშორისო ექსპერტი?!

ექსპერტი არა კიდე, იხვის ტოლმა... მიდი, სასტუმროს მიხედე, მიალაგ-მოალაგე, გამოგავე, კოჭი გააგორე, წამოწექი, დაიძინედა ამ ექსპერტობანას თავი დაანებე, დავო ხათუნ!

პატივისცემით,
"შაშინებული"
გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რევოლუცია გინდებლარიენ, თქვე მართლა ლობიოებო? ვერ მოგართვით!

სკანდალების მოყვარული ოპოზიციის ზოგიერთი მხარდამჭერი აცხადებს, რომ ხელისუფლებაში განხეთქილებაა, ის დაპირისპირებულ კლანებად არის დაყოფილი და გავლენების სფეროების გადასანაწილებლად და მეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად სახელისუფლო ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

მსგავსი ინფორმაციების გავრცელება განსაკუთრებით გააქტიურდა ბიძინა ივანიშვილის პარტიიდან წასვლის შემდეგ.

კერძოდ, საუბრები მიდის თითქოს არსებულ კალაძე-კობახიძის დაჯგუფებაზე, რომელიც, მათი აზრით, პრემიერ გახარიას ჩამოშორებას ცდილობს, საბოლოოდ, კალაძის გაპრემიერების მიზნით, და დასძენენ, კალაძე-კობახიძე-მდინარაძის დაჯგუფება ღარიბაშვილი-გომელაური-გახარიას წინააღმდეგ იბრძვის, ხოლო ცალკე კლანად მოიაზრებიან თალაკვაძის თანამოაზრეებიო.

საბოლოო ჯამში, მათი მტკიცებით, ხელისუფლებაში ისეთი დაპირისპირება მიდის, როგორც იტყვიან, „დედა შვილს არ აიყვანს ხელში“.

არავინ იცის, რას ეყრდნობა ოპოზიციის მხარდამჭერთა მოსაზრებები, კონკრეტულ ცნობებს, მათ სურვილებს თუ ფანტაზიებს, მაგრამ სინამდვილეში ისეც რომ იყოს, როგორც ამბობენ, მათ მიერ ამ ტიპის ინფორმაციების გაჟღერება სასიკეთოდ რომ არ წაადგება არც საქართველოს ხელისუფლებას და არც ქვეყანას, ეს უდავოა.

ყველა ხელისუფლებას სჭირდება და აუცილებელიცაა ჰყავდეს ოპოზიცია, მაგრამ ოპოზიციის ქმედებები მავნებლური არ უნდა იყოს...

ინფორმაციები, რომლებიც ხელისუფლებაში ვითომ არსებულ დაპირისპირებებს გვამცნობენ, სხვას არაფერს ემსახურება, საზოგადოებაში ვითომ ნიჰილიზმის გაჩენის გარდა. თუკი, ვთქვათ, როგორც ამბობენ, გომელაურის უწყებაზე კონტროლი კობახიძე-კალაძის ე.წ. კლანს სურს, ამით მოსახლეობა რას მოიგებს ან რას წააგებს?

სამაგიეროდ, ამ დეზინფორმაციის გავრცელებით მავნებლები ვითომდა ხაზს უსვამენ: ნახეთ, თუ კრიმინალები არ არიან, მალე დაერევიან ერთმანეთსო და ჩასაფრებული არიან, რომ ამღვრეულ წყალში „თევზი“ იოლად დაიჭირონ.

ამ ქვეყანას არასდროს აკლდა მტერი, მაგრამ ყველაზე დიდი მტრები და ძირგამომთხრელები ქვეყნის შიგნით ჩაბუდებული სისხლის მწოველი წურბელები იყვნენ და არიან, რომელთაგან ზოგს გავლენების შესუსტება ვერ მოუნელებია და ზოგიერთს ახალი და უფრო ძლიერი გავლენის მოპოვება უნდა ისევ ჩვენზე, ხალხზე, თორემ გარეშე მტერთან მებრძოლებს ესენი არ ჰგვანან, ეს მართლაც ქარაქუცები და ცრუ ოპოზიციონერები.

მათი მიზანი ქვეყნის უფრო დასუსტება და ხელისუფლების დისკრედიტაციაა, მაშინ, როცა, თითქოს, აი, მეთაური, ხელმძღვანელი, „პატრონი“ დაკარგეთ, განზე გაგიდგათ ივანიშვილი და ნახეთ, თუ რამე სასიკეთო გააკეთოთ, ბრინჯივით დაიფანტებით და დაიშლებით, რომ მერე გარე ძალა მოვიდეს და კისერი მოგიგრიხოთ, არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთლიანად საქართველოსო.

ყველაფერ ამის მამამთავარი და ინსპირატორ-მამოძრავებელი, ცხადია, ქვეყნიდან გადახვეწილი, „უკრაინელი პოლიტიკოსი“, პოლიტიკური ავანტურისტი სააკაშვილია, კაცი, რომელიც თურმე ოსებთან ამბობს ოსი ვარო, ხან უკრაინელია, მაგრამ არასდროს აღიარებს, რომ თურმე სომხური ფესვები აქვს.

ამ ქვეყნის ისტორიაში არაერთ არაქართველს უკისრია დადებითი როლი, ამიტომ ეროვნებაზე აპელირებით არ ვცდილობ, ვინმეს მოქმედებები ეჭვქვეშ დავაყენო, მაგრამ ღამურას სინდრომით დაავადებული ადამიანი, არც ერთ საზოგადოებას რომ არ წაადგება, ყველამ კარგად ვიცით.

სააკაშვილის კუდი, მისი თანამზრახველი და თანამოაზრე გვარამია ყველა საღამოს წამოსკუპდება თავის სამფლობელო რეზიდენციაში „მთავარ“ არხზე და უშვებს და უშვებს დეზინფორმაციულ ტალახს და შხამებს მსმენელის და მაყურებლის დასაწამლად. მიიწვევს ე.წ. ექსპერტებს, ვითომ პოლიტიკურ მრჩევლებს და მყრალი გაზებით გაბერილ მედიადინამიტებს — რა სიკეთე უნდა მოდიოდეს მათგან, ქვეყნის დაქცევის მსურველებისგან, გარდა იმისა, რომ ღმრთმა არ ქნას და, დაქცეულ ადგილას, როგორც მატლებმა იგორავონ, იფუთფუთონ და თავიანთ სიბინძურში გაძღნენ...

ახლა მათი უპირველესი ამოცანა ხელისუფლების ყველანაირი ხერხით დისკრედიტაციაა.

იმის მიუხედავად, რომ სახალხო თუ ნაცდამცველი ლომჯარია და სხვა ყოფილი და მოქმედი ენჯეოშნიკები ხელისუფლებას კრიმინალებს ეძახიან, ოპოზიცია უნიათოს, კორუმპირებულს და არაფრის მაქნისს, მაინც ვერ მიაღწიეს მასობრივ უკმაყოფილებას, ჩასაფრებული არიან და ელოდებიან, როდის მოხდება „ქართული ოცნების“ სრული კრახი და დემონტაჟი. თითქოს ეს იყოს ამ ე.წ. ოპოზიციის გათეთრების შესაძლებლობა.

ამ ვითარებაში, როგორც ღორმა ღორს უთხრა, დრუნჩიანოო, სხვისკენ იშვერენ თითს, როცა თავად ოპოზიციაში ისეთი ცხადი და თვალნათელი განხეთქილებაა, რომ ვერაფერი ვეღარ უშველის დაშლისკენ მიმართულ მათ ინერციას.

ალუფხულ-ადღლეზილი „ოპოზიციური ერთობა“ დღითიდღე აჩენს თავის ნამდვილ სახეს. იმ გაერთიანებიდან თავიანთი გზებით ნელ-ნელა მიდიან ვითომდა არჩევნების გაყალბების უსამართლობით შეკავშირებული ადამიანები.

თავს რომ ანგელოზებად წარმოადგენენ და კოალიციურ მთავრობაზე ლაპარაკობენ, განგებამ დაგვიფარა, თორემ ესენი ყველა რომ პარლამენტში შესულიყვნენ, მერე გენახათ თქვენ გავლენების გადანაწილებისთვის ბრძოლა და ხელჩართული ომი.

ასე რომ, რაც უნდა ხდებოდეს დღეს ხელისუფლებაში, რაზეც ოცნებობენ ე.წ. ოპოზიციონერები და მათი მედიაპროპაგანდისტები, ვერც ხალხის ნდობას დაიმსახურებენ და ვერც ამ ქვეყნის ხელახლა არევას.

რევოლუცია გინდებლარიენ, თქვენ მართლა ლობიოებო?

ვერ მოგართვით!...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

Times-ი: ბიძინა ივანიშვილის,, ქართული ოცნების“ გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ინდივიდუალისტი პოლიტიკოსის სააკაშვილის მმართველობას, რომელმაც 2008 წელს ომის შედეგად ტერიტორიის 20% დაკარგა

2012 წლის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი ახალშექმნილი პარტიის, „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში. მისმა გამარჯვებამ წერტილი დაუსვა მიხეილ სააკაშვილის 10-წლიან მმართველობას, – წერს ამის შესახებ გამოცემა „Times“-ი.

ავტორი მიხეილ სააკაშვილს ინდივიდუალისტ პოლიტიკოსად მოიხსენიებს და აცხადებს, რომ მის პირობებში საქართველომ 2008 წელს რუსეთთან გამანადგურებელი ომის შედეგად დაკარგა თავისი ტერიტორიის 20%.

სტატიაში ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ემთხვევა საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მომენტს.

,, აშშ-ის ახალმა სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს საქართველოს მიწვევას ნატოში გასაწევრიანებლად, თუკი ქვეყანა შეასრულებს შესაბამის მოთხოვნებს. ეს კი კიდევ უფრო გაამწვავებს დაძაბულობას რუსეთთან, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ყოფილი საბჭოთა ქვეყნების შესვლას დასავლურ სამხედრო ალიანსში. საქართველო ასევე ეცდება ევროკავშირში შესვლას 2024 წელს“, – წერს გამოცემა.

სტატიის ავტორის თქმით, ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა საკმარისად მტკიცეა იმისათვის, რომ გაუძლოს კრემლიდან მომავალ ზეწოლას – „ჩვენ გამოვეყავით რუსეთს და გავხდებით ყველაზე პოპულარული ოჯახის – ევროკავშირის წევრი“, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

მილოცვა

მამა ბასილ მკალავიშვილს 75 წელი შეუსრულდა

ვინც მას იცნობს, დაგვეთანხმება, იშვიათია დღეს მისნაირი ადამიანი, მოძღვარი და დამრიგებელი.

მიუხედავად გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობისა, გლდანში, საკუთარი ხელით და მრევლის შემოწირულობებით აშენებულ ტაძარში, დილიდან დაღამებამდე შრომობს ეკლესიის მოპირკეთებაზე, მოხატვაზე, ხან ხარაჩოზე დგას, ხან ამბიონიდან მოუწოდებს მრევლს ქრისტეს სიყვარულისკენ, სამშობლოს თავდადებისკენ, ლოცვისკენ, შრომისკენ...

ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს თქვენი თავი თქვენს მრევლს და ჩვენს ქვეყანას, მამა ბასილ.

გილოცავთ დაბადების დღეს!

გილოცავთ ქრისტეშობის და ნათლისღების დღესასწაულებს!

დიდხანს იცოცხლეთ.

გწყალობდეთ ღმერთი!

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

ეროვნული გმირი

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ქვეყნისთვის თავდადებული ეროვნული გმირი

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ბევრი წავიკითხე და მოვისმინე. **„ხილულად“** ყოფნის დროს ხომ მომხრეცა და მოწინააღმდეგეც მის გვარს წაღმაუკუღმა ახსენებდა. აწიც, „საუკუნის ქველმოქმედის“ გამოჩენასა და **„უჩინრობაში“** გარიდებაზე, ბევრი დაიწერება და ყურს მოსმენაც მოსწყინდება.

ვინ ტყუოდა ან ვინ იბრალებს მართლის მაუწყებლობას, გარჩევას არ ვაპირებ – ეს ყველაზე დიდი უგუნურობა იქნება, მაგრამ დღეს **ფუჭი ლაქლაქი პროფესიად იქცა, ოპონენტი – მოსისხლე მოწინააღმდეგედ, ოპოზიციონერი – ქვეყნის მტრად, სიცრუის ტირაჟორად, მხოლოდ „შავის“ აღმრიცხველად ჩამოყალიბდა;** ახალგაზრდობამ სიმართლე არ იცის, სწავლას მოწყვიტეს, ქუჩაში ფარად გამოჰყავთ; ოღონდ ხელისუფლებას დააკისრონ პასუხისმგებლობა, საკუთარ წვლილს ცუდად ყოფაში ვერავინ ხედავს; თუ ცუდი რამ ხდება, ამხილოს და გამოსწორებაში ქვეყანას გვერდით დაუდგეს, არავის უნდა; მხოლოდ პირველკაცობას ეპოტინებიან და თუ ამას ვერ მოახერხებენ, ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა, მეწყერს წაუღია ყველა სხვა საქვეყნო საზრუნავი. ზოგს ჯიუტად არ სურს იმის დაჯერებაც, რასაც საკუთარი თვალით უყურებს, სხეულით გრძნობს, გონებაშიც ჩამჯდარი აქვს. **მოთხოვნა – ნორმად, თავის მართლება – აქტიურობად, სხვაზე გადაბრალება – საქმის კეთებად აღიქმება – ეს საშინელი, გადამდები სენია და უნდა შევაჩეროთ.** ამიტომაც გავბედე ხმის ამოღება, – იქნება ვინმემ ყურად იღოს და თუნდაც ერთი გაერიდოს გადაგვარებას.

2011 წლიდან იმდენჯერ ახსენეს ივანიშვილის გვარი, დათვლას უახლესი მრიცხველიც ვერ შეძლებს. ზოგ „ზომიერებიდან გასულს“, მიკროფონთან კეკლუცის დროს, საუბრის დაწყების, შუა და ბოლო ნაწილში რამდენჯერმე უნდა ეხსენებინა ბიძინა, როგორც ურჩხული, წყაროს სათავე რომ ჩაუკეტა სოფელში მცხოვრებთ.

ივანიშვილის მოღვაწეობასა და **„პოლიტიკიდან მშვიდად გაცლაზე“** დაწერილ „ათას სურნელოვან შვავში“ მაღალფასეულსაც გამოარჩევს დაგეშილი ყნოსვა. დახვეწილად, უთუოდ საინტერესო რაკუსით, იუმორგარეულად თუ დაფიქრებით, არაერთი გემოვნებიანი, ნიჭიერი კალმოსნის მიერ ჩამოქნილია ჩვენი დროის ყველაზე გავლენიანი აქტორის პორტრეტი. ბევრმა, მათ შორის, კარგად იცის, სად ჩაამუქოს ფერი, სად მიანათოს სხივი, სად „გაბრაზდება“ კალამი და სად შეჩერდეს. ისინი ყველაფერში, შესაძლოა, ვერ დაითანხმო ან თალხში უფრო თეთრი გეხილებოდეს, მაგრამ ეს მათი ხედვაა, აქ მიუღებელი არაფერია და არც საწყენი – ყველა სხვადასხვანაირად კითხულობს გალაკტიონს, ყველას განსხვავებულად უღიმის ლეონარდოს „მონა ლიზა“. ამ „პორტრეტებში“ შტრიხების მეტი წილი მკაფიო და შაბლონურისგან განსხვავებულია; მეტია აქ მართალიც და სახელდახელო გაზვიადების კვალიც ილანდება. სწორედ მართალგარეული, სტრიქონებს შორის სიცრუეშეპარებული ხდება საყურადღებო და, გულწრფელდ რომ ვთქვა, საშიშიც. ამას ნიჭიერები უკეთ ახერხებენ. ნიჭიერი კაცის მოქმედებებია გადამდები (კორონავირუსივით ვრცელდება); მათ მიმიკებს ბაძავენ, აჩემებულ სიტყვებს იმეორებენ, სტრიქონებს შორის (შეგნებულად თუ შემთხვევით) ჩაგდებულ აზრებს საკუთარივით ავრცელებენ და სარწმუნოსავით ჟღერს მერე „ორღობის ჭორიკანების“ მიერ აუდიტორიებში, სოფლის „ბირჟებზე“ ან უფრო დიდ თავყრილობაზე დაგდებული ასეთი „სასხვათაშორისო შეფასება“, თორემ ყველაზე ცნობილი შალიკოს ნალაყბევს უკვე ყურს არავინ უგდებს.

სულაც არაა გასაკვირი, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და მეცენატის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას მითქმა-მოთქმა გამოეწვია. მტერიც ბევრი ჰყავთ ასეთ რჩეულებს, მლიქვნელებიც აეკიდებათ, უმადურებსაც რა გამოულევთ, ბოლოს არც მადლიერნი რჩებათ.

ახლა მომავლზეც დაიწყეს ბჭობა – **რომ იყო, რა მოგვიტანა, იყო და გამოხრა სოფელი, წავიდა და უთვალავი ვალი დაგვიტოვაო** – არ იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული და არც მის წასვლაშია **„მშვიდი სიბერის“** საწინდარი – მოვიდა შეგნებულად, გათვითცნობიერებული მისიით, არა დიდებისა და გავლენის გასაძლიერებლად, სხვების მიერ მიტაცებული ძალაუფლების ხალხისთვის დასაბრუნებლად, განასრულა საქმე, რაც იტვირთა (თუ განგებამ დააკისრა) და ლაო ძისებურად **„გაწყვდიადებულ, გასხივოსნებულ წიაღს დაუბრუნდა“**. არ უსარგებლია არც ერთი სახელისუფლო სიკეთით, უანგაროდ ემსახურა ხალხს, რაც მოიხვეჭა – ფული, სიმდიდრე, ნდობა სიყვარული, ყველაფერი უკლებლივ, მშობელ ქვეყანას მოახმარა და ვალმოხდილი „სიმარტოვეში უკუდგა“.

ივანიშვილმა შეძლო ხელისუფლებისგან მშვიდობიანად ჩამოეშორებინა ძალადობაზე, ავანტიურაზე, პირად ამბიციებზე, გამორჩენაზე დაფუძნებული რეჟიმი და ქვეყნის დემოკრატიული, მშვიდობიანი განვითარება შეუქცევადი გახადა. ჩვენს ისტორიაში პირველად, ივანიშვილმა საკუთარი ინიციატივით დათმო ძალაუფლება მაშინ, როდესაც დამსახურებულად შეეძლო ემართა, მიეღო ყველაზე მაღალი თანამდებობა (ვიცი, ამიკლებს ახლა ოპონენტი – დაათმობინეს, ოპოზიციურმა ძალებმა აიძულეს, დასავლეთმა ურჩია, ოკიანის გაღმა გამოეცალა მხარდამჭერი, წყალში ჩაეყარა ტრამპის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება – ჭორია ეს უნიჭოდ აღწერილი სცენარი).

ყველა ადამიანს აქვს საკუთარი სამყარო, მისია, გარემო, რომელშიც თავს გრძნობს ლაღად, მშვიდად, კომფორტში, არ იტაცებს ძალაუფლება, პრივილეგიები; ივანიშვილიც არაა გამონაკლისი. მისთვის პოლიტიკა არ იყო ინტერესის სფერო, ჰობი, საყვარელი გასართობი, მაგრამ მან უფრო მეტი შეძლო, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს სხვა ხმაურიანმა პოლიტიკოსებმა. ტიტულოვანი და პოლიტიკაში მოღვაწე ჩამქრალი დიდების ლიდერები ძალადობით, იარაღით, რევოლუციით გამოჩდნენ საზოგადოებაში და ზენიტში ყოფნას ძალადობითვე ინარჩუნებდნენ. ივანიშვილი სრულიად განსხვავებული გზით მოვიდა, მშვიდობიანად, გვერდზე გაწია მოძალადეთა ხროვა, წინასწარ განაცხადა, მალე წავალო, დაპირისპირებულებთან (ისინიც ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან) თანაცხოვრების რთული, მაგრამ აუცილებელი, სტანდარტი შემოიღო და სახელისუფლებო კვარცხლბეკიდან თავისივე ნებით, უხმაუროდ ჩამოვიდა.

რა არის ეს, თუ არა მსხვერპლი, ყველაზე დიდი აქტივის შეწირვა ხალხის სამსახურისთვის?!

მან ლიდერების ეპოქა დაასრულა, გაიხურა კარი, დატოვა გარემო, სადაც სისტემა უნდა მუშაობდეს და არა შემთხვევით ატივტივებული, ძალადობით მოსული ან თუნდაც ხალხის მიერ აღზევებული და კერპად დასმული მესიის გონიერება. **თუ ხალხის მმართველობამ ვერ იმუშავა, სხვას ნუ დავაბრალებთ, ნურც ახალი ბელადის მოლოდინში გავიტრუნებით – საკუთარ უუნარობაში ვეძებოთ მიზეზიც და, თუ გნებავთ, – გამოსავალიც.**

ეს კაცი იმ დროს მოვიდა, როცა მარყუჟი უკვე გაფსკვნილი იყო, წამიც და... ეშაფოტიდან ჩვენი ჩამოხსნა ძლიერ დაგვიანდებოდა. წასვლაც იმ დროს გადაწყვიტა, როცა ყულფში არავინ გაყოფინებს თავს და ყელიდან ბაწარი ჩამოხსნილი გაქვს, სუნთქავ, მკლავიც გერჩის, გამოგაფხიზლეს... აწი კაკანათში კვლავ თუ შეგიტყუეს, თავს დააბრალე, ისევ შველას ნუ მოსთხოვ!

მოვიდა – რატომ მოვიდა, ოლიგარქს პოლიტიკაში რა უნდაო?! **წავიდა** – რატომ წავიდა? პასუხისმგებლობას გაექცაო. **არსად არ წასულა,** – კვლავ კულუარებიდან

იწყებს მართვასო. აბა, ასე, პრიმიტიული, უაზრო მსჯელობა შეიძლება?!

მოსვლამდეც ივანიშვილი თავის რესურსებს გადაუდებელ, საჭირო საქმეს ახმარდა. იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად ჭირდა, ოდნავი დაყოვნებაც საქმეს გააფუჭებდა ან უკვე გაკეთებულს სრულად გაანადგურებდა; ჩუმად იყო და გაღებულ სიკეთეზე არ ყვებოდა (ნუ მომაყრით ახლა, ივანიშვილი ამით წინასწარ იმზადებდა ნიადაგს ხელისუფლებაში მოსლისთვის, ყველა თავიდანვე მოისყიდაო. **მკრეხელობაა ეს და სიბინძურე!**).

ივანიშვილი იმათ არ ჰგავს, არც იმათი გორისაა, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას ვარდების რევოლუციიდან ითვლის, ვინც იბრალებს „დამსახურებას“ ქვეყნის წინაშე, აქტივად იჩემებს კერძო კაპიტალით აშენებულ გზებს, სახლებსა თუ სკვერებს და ამაზე დღენიადაგ ყველა აუდიტორიაში ტრაბახობს.

პრემიერ-ყოფილი გულხელდაკრეფას არც აწი აპირებს – ჩუმად იღვაწებს, ჩუმად გასცემს შემონახულ თუ კვლავაც მოგროვილ სიკეთეებს და დასასრულ, სოფლიურ უსასრულობას ჩუმადვე შეუერთდება.

ბევრი ისტერიკაშია, რომ ივანიშვილის გამოჩენამ მათი გეგმები არივ-დარია.

კი, ბატონო, დავუშვათ ეს ასეა. მაგრამ თქვენ მოსვლა და საქმის გაკეთება ვინმემ დაგიშალათ? ფული ვერ იშოვეთ და არ გეყოთ? – ფულის შოვნას ჭკუა უნდა, დახარჯვას უფრო მეტი გონიერება სჭირდება. ხვდებით, რაშია განსხვავება? ვინც არ იცის, როგორ იშოვოს ან როგორ „გაფანტოს“, სიყვარული ვისაც არ განუცდია, ის ამას ვერ გაიგებს, „მდიდარი კაცის“ ვერც საქვეყნო საფიქრალსა და საგონებელს ჩაწვდება.

ვინც ელოდა, რომ ივანიშვილი ჯიბეებს გამოუტენიდა და შინაბერად ჩარჩენილ „მზეთუნახავს“ გაამზითვინებდა, გეთანხმებით,– „მწარედ მოატყუეს“. მაგრამ ამაში მისი დადანაშაულება უნიჭობა, უვიცობა, გაუნათლებლობა უფროა...

ვინც ფიქრობდა, რომ ივანიშვილი დაასაქმებდა, კაბინეტს, მაღალ ხელფასს, მომსახურე მდივანს, პერსონალურ კომპიუტერსა და ლიმუზინს გამოუყოფდა, რა თქმა უნდა, მას მოლოდინი გაუწბილდა – ხელი უნდა გაანძრიო, მიდგე-მოდგე, ბიძია, სახნავ-საბარგი, რამდენიც გინდა, იმდენია. ზარმაცობა და ამპარტავნობა თუ არ გმართავს, სამუშაოს ყველგან იშოვი;

ხალხი დაიმონა, მარიონეტად აქცია, – ბოლო ხმაზე გაჰკივის დღეს საზოგადოების კეთილდღეობისთვის „გულდათუთქული ოპონენტი“.

თუ შენში მონა არ ზის, თავისუფლებას ვერავინ შეგიზრუდავს;

პირწავარდნილი დიქტატორი იყო, ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, არაფორმალურად მართავდა, – გედიდგულება, ჩლიქებზე დგება, ხელებს გიშლის, კარებს გილეწს, პარლამენტში გივარდება, „ცესკოში“ შეჭრას ცდილობს ვიღაცის შეგულიანებული, დაბოლოლი და გონიერებისგან დაცლილი ობივატელი.

რაც ივანიშვილს აგინეს, ვერც ერთი დიქტატორი მაგის მეასედსაც ვერ აიტანდა;

ტყუილად ფიქრობთ, რომ შეგზღუდეს, არჩევანი გაგიყალბეს, დაწინაურების შანსი არ მოგცეს – არ გაქვთ, ბატონებო, თქვენ უპირატესობა და სხვას რატომ უნდა დააბრალოთ თქენი უსუსურობა, მე ვერ ვხვდები... ხმაურით ცდილობთ გადაფაროთ თქვენი სისუსტე, გინებით გინდათ გადაფაროთ თქვენი არშემდგარობა?.

... და საერთოდ, თუ ვერ ხვდებით, ვერ ცვლით თქვენი უსუსურობით, ვერ გიპოვიათ გზა და არც იცით, საით, როგორ იაროთ, სხვას რატომ აბრალებთ, სხვა ბელადს რატომ უხმობთ, სხვა რატომ უნდა გელოლიავოთ?!...

ივანიშვილმა საზოგადოება ბნელი წარსულის ლაბირინთებს სრულიად განსხვავებული, არაძალადობრივი, ბევრად რთული გზით გამოატარა

და დაგვანახა, როგორ ესწრაფვიან მედროვენი ძალაუფლებას სტომაქების ამოსაყორად. ჩვენში ყოველთვის იყო და ახლა მეტად მომრავლდნენ ისეთნი, სხვის თვალში ბეწვს რომ ამჩნევენ, საკუთარში კი დირესაც ვერ ხედავენ. დღეს „ექსპერტები“ უფრო მეტი გვყავს, მაგრამ ამით პრობლემები ოდნავადაც არ შეთხელებულა.

გავა დრო და... **გაზაფხულმა უკეთ იცის, თუ რა დარჩება თოვლზე ნაგვირისტალი ბრჭყვიალა პანორამებიდან. ზაფხულის მოსვლამდეც კარგად გამოჩნდება, შერჩებათ თუ არა სახე ნათოვლარ კლდეებზე თეთრად ამოტვიფრულ გმირებს მითოსის სამყაროდან.**

არც მე და ბევრი სხვაც არ ფიქრობს, რომ ივანიშვილის სამიზნე „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადასვლა იყოს. უკეთესის დანახვის სურვილი თუ არ გაგიჩნდება, იკოტრიალებ წუმპეში, ვერც აპარტამენტებს დაინახავ და საკუთარი ბუნაგიც სასახლედ მოგეჩვენება – **მომავალმა უნდა აჯობოს აწმყოს** – განვითარების დინამიკა ამაშია და ჩემი საოცნებოც ესაა. კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდაო, – ნათქვამია!

უკეთესზე უკეთესი ყოველთვის არსებობს. უკეთესს რომ გააკეთებ და მეტს რომ შეძლებ, აი, მაშინ ილაპარაკე წელგამართულმა...

კაცმა, ჭორვილადან აფრთიანებულმა ღარიბმა ჭაბუკმა, საკუთარი თვალუწვდენელი იმპერია შექმნა (აბა, შეძელი და გაუტოლდი, თუა ადვილი), მართა, განადიდა, ათასი სხვაც დააპურა, სახლიც ააგო, ხეც დარგო, ქვეყანასაც შეეხიდა. მისი **„კაპიტალი ერთი ქართველის კერძო მფლობელობიდან სრულიად საქართველოს, ყველა ქართველის სამსახურში იხარჯება.“** რა გინდა სხვა, სამდურავი რა გაქვს?!

გომთან საჩხერისკენ გადასახვევიდან ჭიათურის შესასვლელამდის, გზის, ყველა ეზო-კარის, სახლების კეთილმოწყობის, საავადმყოფოს, სკოლის, რიტუალების, კომუნალური გადასახადების ხარჯები, ივანიშვილის სახსრებით ფინანსდებოდა. მისი ძალისხმევით საჩხერის რაიონში 11 ათასი ოჯახისთვის სახლებს სახურავი შეუცვალეს, გაზი შეუყვანეს, გაზქურაც მიიტანეს, გათბობა ჩაურთეს, სატელევიზიო არხებზე წვდომა მიეცათ, – ყველამ ერთნაირად როდი მიიღო გამოწვდილი სიკეთე...

გადაჭარბებულმა ზრუნვამ, სხვისი პრობლემების გადაწყვეტამ (მით უფრო, როცა არც იციან, ვინაა კეთილმყოფელი) მიჩვევა, გაზარმაცება, ახალი მოთხოვნების გაჩენა, გაზლუქუნება და ათასი უბედურება იცის, – ეს სხვა თემაა, მაგრამ როცა შეგიძლია და შენი ხალხისთვის არ გენანება, ამაზე, შესაძლოა, არც იფიქრო. არცაა გასაკვირი, ასეთი ხელგაშლილობა ცუდად შეაფასოს იმან, ვისაც ათასობით სხვისი სახლის გადახურვა კი არა, საკუთარი ერთი ჭერიც ვერ შეუკეთებია და აწვიმს, შეშის მარაგი არ დაუწყვია და სცივა, ქათამს არ ზრდის, კვერცხი არ აქვს, ლობიოს დათესვა არ უცდია, სიმინდის მოსავალი ტყიურ ფრინველებს გააქვთ.

მართლაც, საქმე მადლიერებაში როდია. **ვერაფერი ახლოსაც ვერ მივა იმ სულიერ კმაყოფილებასთან, რასაც შეჭირვებულებისთვის დახმარების გაწევა, ხალხისა და ქვეყნისთვის უანგარო სამსახური განიჭებს.** ამას ის ვერ გაიგებს, ვისაც ეს არ განუცდია და არც უცდია, განიცადოს.

მარტო ეს როდია ივანიშვილის მიერ გაღებული სიკეთის ჩამონათვალი (თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ათჯერ ათ მოკვდავს ეყოფოდა ეს დიდსოფელში ვალმოხდილად გამგზავრობისთვის).

700-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა, სამების ტაძრის აგება, ჯარი, პოლიცია, თეატრები, პარკები, საყოველთაო ინტერნეტიზაცია, სპორტი, რაგბის ინფრასტრუქტურა ქვეყნის მასშტაბით, კურორტები, ჯანმრთელობა, ასობით გადარჩენილი სიცოცხლე, განათლება, ქალაქები... ივანიშვილის ფონდიდან ფინანსდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენს უშუალოდ დაეხმარა. ქველმოქმედების არასრული სიის ჩაკითხვა დაგღლის.. და ჩამოთვლასაც ვერ შევძლებ, – არავინ იცის ამ ერთმა კაცმა რამდენი შეძლო. გაიხედავ მარცხნივ, მარჯვნივ, მაღლა, დაბლა, ქვესკნელშიც რომ ჩაძვრე, – ყველგან, აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით, ბარსა და მთაში, ივანიშვილის ნაგები, გაკეთებული, აღდგენილი დაგხვდება; ასწლეულებს გაუძლებს, ხალხს, ქვეყანასა და თქვენს მოდგმას

გამოადგება; ახლაც სარგებლობთ და იფერებთ მისი პიროვნული და მატერიალური რესურსებით გაკეთებულ სიკეთეებს.

პოლიტიკიდან წასვლამდე 30-მდე გრანდიოზული ობიექტი, არანაკლებ ერთმილიარდ-ნახევარი დოლარის ღირებულების ქონება საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადასცა. ბევრი ქილიკობს, ივანიშვილმა ამით გადასახადებს თავი აარიდაო – **ჰოი, საკვირველებავ, რა სახელი შეიძლება ამას დაერქვას?!**

ვინც ასეთ უმსგავსობას ახმოვანებს და, მით უფრო, ივჯერებს, ჰკითხეთ ერთი, იციან რას ნიშნავს საქველმოქმედო ფონდისთვის აქტივების გადაცემა? რა სარგებელი შეიძლება აქედან ივანიშვილის ოჯახმა მიიღოს? რა დანიშნულება აქვს გადასახადებს? რატომ უნდა იხდიდეს ივანიშვილი გადასახადს იმაში, რასაც უანგაროდ ქვეყნის კეთილდღეობას ისედაც ახმარს?

რად ხართ ასე თვალახვეული, მიამიტი და სხვისი დიდკაცობა რად გიქმნით „რაციონალურ წარმოდგენებს ადამიანის არსებობის სასრულ საზღვრებზე“?

ივანიშვილი ერთია და ამდენი შეძლო...

საქართველოს დიდი მეცენატები, ქველმოქმედები ადრეც ჰყავდა. დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ნესტორ კუცია, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია... მათი გაღებული სიკეთე ახლაც ასაზრდოებს ქვეყანას. **ივანიშვილმა უფრო მეტი შეძლო, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა კეთილმყოფელმა.**

საქართველოს ერისკაცნიც, სახელოვანი მამულიშვილნი ბევრი ჰყოლია...

ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობა, საზოგადო მოღვაწეობა, საქართველოსთვის გაღებული სარგებელი, მნიშვნელობითა და მასშტაბით, სწორუპოვარი ისტორიული მაგალითია.

წარმოიდგინეთ, ამ თვალწარმტაც, ნიჭიერებით სავსე, უსაზღვრო შესაძლებლობის ქვეყანას ათი ივანიშველი რომ ჰყავდეს, ევროპის ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოს ხომ გადავასწრებდით?!

მაშ, რად ცდილობთ, ეს ერთი დიდი კაცი ჩაკორტნოთ? არ აჯობებს, გვერდში დაუდგეთ, შეეჯიბროთ, იივანიშვილოთ? რამდენს დაეპურებდით, რამდენს თავშესაფარი ექნებოდა და ღირსეული სამუშაო გაუჩნდებოდა.

ცხადია, ყველაფერს ივანიშვილის რესურსები ვერ გასწვდა, ყველაფერი ვეღარ დალაგდა, სიღარიბე ჯერ კიდევ მეზობლობს ჩვენთან, მაგრამ ეს არ არის ქვეყნის დასასრული. თავად ივანიშვილმა **სიღარიბეში აიდგა ფეხი, უსახსრობაში გაუგო გემო სხვისგან გამოწვდილ დახმარებას, უქონლობაში გამოსცადა მონდომების ფასი და საკუთარი შესაძლებლობა.** მერე ეს სიკეთე გაასმაგებულად დაუბრუნა ხალხს და ქვეყანას. დარჩენილ დასალაგებელს ჩვენც შევაშველოთ ხელი – საქმეს მივხედოთ.

ყველას ივანიშვილობას ვერ მოსთხოვ, ვერც ქვეყნისთვის თავგანწირვას აიძულებ, მაგრამ საზოგადო მოღვაწეს, პოლიტიკაში მოსულს პასუხისმგებლობა მაინც უნდა გააჩნდეს, სულ ცოტა, ის მაინც უნდა იცოდეს, რას ლაპარაკობს.

ვინც გაიძახის გაყალბდა-გაყალბდაო, მათ განა ქვეყნის კეთილდღეობისთვის უნდათ ხელახალი არჩევნები, პარლამენტარობა და მართვა? თავისი თავი ადარდებთ და არჩევნებით გასასვლელ სიებში საკუთარ გვარ-სახელს ეძებენ. **პოლიტიკა ბიზნესადაა ქცეული** და ყველა ხელმოცარული ინერციით „იაფი ფულისკენ“ გარბის.

რაც გვჭირს, უცოდინარობის, გაუნათლებლობის გამოა!

ივანიშვილმა კარგად იცის განათლების ფასი. გარდა იმისა, რომ მან ხალხს „თევზიც“ ბლომად დაურიგა, მორთულ-მოკაზმული ანკესიც მისცა – თევზის ჭერაში დაოსტატებისთვის გზა მიუთითა. განათლებაში ჩადებული მისი ინვესტიცია – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ყველაზე დიდი საჩუქარია ახალგაზრდების გადასარჩენად. ეს საქმეც წარმატებით განასრულა, მომავლისკენ გაჭრილი, მოკირწყლული ფართო შარა დაგვიტოვა და კვლავ გაუჩინარდა.

რა გინდათ, რას ერჩით?! დააყენეთ ის კაცი იქ, სადაც წავიდა. აწი თქვენ უკეთესედ აკეთეთ, რაც მან ვერ შეძლო.

რამდენიც არ უნდა იწვალოთ და ივჯაჰიროთ, ისტორიას მაინც ვერ მოატყუებთ – ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც თავისი ქვეყნისთვის თავდადებული ეროვნული გმირი.

ᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲥᲣᲐ
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
სსუ პროფესორი
574 34 64 27

უცრემლოდ წასული და ცრემლით მოსული

რუსი სამხედრო ექსპერტი, ჟურნალ „ეროვნული თავდაცვის“ მთავარი რედაქტორი იგორ კოროტჩენკო რამდენიმე ხნის წინ აცხადებდა, რომ აშშ-ის საელჩოების ფუნქცია ნებისმიერ ქვეყანაში, ძირეულად განსხვავდება სხვა ქვეყნების საელჩოების ფუნქციებისგან. ამერიკის საელჩოები, მხოლოდ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების საშუალება კი არ არის, არამედ კონკრეტული ქვეყნის, სადაცა ეს საელჩოა განთავსებული, შიდა პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებისა და კონტროლის ინსტრუმენტიცაო. ექსპერტს მაგალითად იგივე რუსეთი მოყავდა, დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მოსკოვში მდებარე ამერიკის საელჩოში დიპლომატების პარალელურად მინიმუმ სამი ამერიკული სპეცსამსახური რომ მუშაობს, სამხედრო დაზვერვისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ე.წ. ცერეუ) რეზიდენტურები და ელექტრონული დაზვერვის საელჩო ცენტრი, რომლებსაც ამერიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის ოფიცრები ემსახურებიან, ანუ არიან დიპლომატები კლასიკური გაგებით და ისინიც, ვინც დიპლომატიის საფარქვეშ მალავენ იმ საქმიანობას, რასაც ადგილზე ეწევიანო. ექსპერტის აზრით, დიდი პროფესიონალიზმი არ ჭირდება იმის მიხვედრას, რომ ამ პაგონებშენიღბულთა ზრუნვის საგანი, არც რუსეთის მოსახლეობის ინტერესებია და არც რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ორი აზრი არ არსებობს, რომ ოპოზიციური დაჯგუფებების (ამ შემთხვევაში რუსეთის) დაფინანსება, გავლენა მედიასივრცეზე, აშშ-ის სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტისა და იმ სპეცსამსახურების მნიშვნელოვან ამოცანად რჩება, რომლებიც ჩართულნი არიან ამერიკის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების ჩამოყალიბებასა და დაცვა-შენარჩუნებაში. „რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩის მაკფოლის სავიზიტო ბარათი რომ მაჩვენეს, გავოცდი, სხვადასხვა სოციალური ქსელის 12 ექაუნთი (ფეისბუკპროფილი) იყო მითითებული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ციფრული დიპლომატიისა და საზოგადოების ცნობიერებაზე ციფრული მანიპულირების საუკუნეში შევაბიჯეთ“; აღნიშნა კოროტჩენკომ.

რაც შეეხება ინფორმაციული ნაკადებით მანიპულირებას, კოროტჩენკოს განცხადებით, ამ შემთხვევაში, ამერიკისთვის რუსეთი და ჩინეთი არიან ინფორმაციული გავლენის მთავარი ობიექტები და რატომ — ღია სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, აშშ-ს არ შეუძლია გაიმარჯვოს ამ ქვეყნებზე. ბირთვული იარაღის მქონე რუსეთისა თუ ჩინეთის წინააღმდეგ ღია ომი, თვითმკვლელობის ტოლფასია, ამასთანავე მსოფლიო კატასტროფა. ამიტომ იყენებენ ახალ ტექნოლოგიას, ფერად რევოლუციებს, როგორც შეარაღებული ბრძოლის წარმოების ახალი ფორმას. გასული წლის ზაფხულში, მოსკოვში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ეგიდით ჩატარდა პრესკონფერენცია, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ქართველი ლიბერასტების მსგავსად, მათ რუსეთელ „ტყუპისცალებსაც“ უყვართ „საკრალური“ დამთხვევები, ზემოხსენებული აქცია ამ კონფერენციის პერიოდს დაამთხვიეს. რუსული მედიის განცხადებით, ხსენებულ პრესკოფერენციაზე წამყვანი სამხედრო ექსპერტები და სხვადასხვა ქვეყნების გენშტაბების წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნებისმიერი ფერადი რევოლუცია, იქნება ეს ხავერდოვანი თუ სხვა ფორმით, დემოკრატიული ლოზუნგებითა და ციფრული მანიპულირებით შეფუთული, ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობის ინსტიტუტია. პროფესიონალი ექსპერტის მტკიცებით, ოპონენტებმა რამდენიც არ უნდა იდავონ, ფერადი რევოლუცია საბრძოლო მოქმედებების ახალი ფორმაა. არც არის სადავო, 2003 წლის ნოემბრის რევოლუციად მონათლული სახელმწიფო გადატრიალების „შემოქმედნი“ კი ტკვარცალებდნენ, ვარდებით მოვედით ხელისუფლების სათავეშიო, თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, საქართველოს პარლამენტში „ვარდებით“ შევარდნილების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯავშანჟილეტებში გამოწყობილები და კბილებამდე შეიარაღებული რომ ბრძანდებოდა. გარდა ამისა, პარლამენტის „სანახებში“ რამდენიმე ასეული, ასევე კბილებამდე შეიარაღებული „ანგელოზიც“ რომ ყავდათ ჩასაფრებული „ვარდოსნებს“.

„ნებისმიერ ოპოზიციურ ძალას აქვს ლეგალური პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში, მაგრამ ოპოზიცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღებდეს დაფინანსებას უცხოეთიდან. ქვეყნის სპეცსამსახურებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების უმთავრესი ამოცანაა, გადაკეტოს ნებისმიერი არხი, რომლითაც უცხოეთიდან ფინანსდება ესა თუ ის დაჯგუფება, პოლიტიკური პარტია, მოძრაობა თუ პოლიტიკური პროცესები. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი“, აცხადებდა იგორ კოროტჩენკო.

რუსი პოლიტოლოგები და ექსპერტები ხუმრობდნენ, ამერიკაში იცით რატომ არ მოხდება ფერადი რევოლუცია? იმიტომ, რომ იქ არ არის ამერიკის საელჩოო, მაგრამ თურმე მართლაც არასოდეს არ უნდა თქვა, არასოდეს. დემოკრატიის აკვნად შერაცხულ ამერიკაში ისეთი ამბები ხდება, როგორც თავად ამერიკელები აცხადებენ, აფრიკული ბანანის რესპუბლიკები მონაგონია. ისევ რუსულ იუმორს მოვიშველიებ, ამ პანდემიის გამო, ამერიკელები გარეთ რომ ველარ გადიან, საკუთარ თავს მოუწყვეს რევოლუციაო. ამერიკის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის განცხადებას, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში არცერთი ომი არ მომხდარა, პირიქით, შორეული თუ ახლო აღმოსავლეთიდან გაიყვანეს ამერიკული სამხედრო შენაერთები, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ეთანხმება. რა მოხდება ახლად არჩეული, „მხცოვანი“ ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის ხანაში, მომავალი გვიჩვენებს, თუმცა გარკვეული პროგნოზების გაკეთება ალბათ შეიძლება.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პრეს-მდივანი დიმიტრი პესკოვი შემდეგნაირად გამოეხმაურა პრეზიდენტ ბაიდენის განცხადებას, რუსეთის წინააღმდეგ მოკვლევა-გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. პესკოვმა გაიხსენა, რომ ვაშინგტონმა არაერთხელ ჩაატარა მსგავსი გამოძიებები, მათ შორის, უშუალოდ რუსეთის „ჩარევებთან“ დაკავშირებით. „ამ საკითხზე საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან, შედეგად კი მოვისმინეთ ვერდიქტები, ამგვარი ჩარევების არარსებობის შესახებ“, აღნიშნა პრეზიდენტის პრეს-მდივანმა. აშშ-ის „ახალგამომცხვარმა“ პრეზიდენტმა ბაიდენმა უკვე დაავალა ამერიკულ სპეცსამსახურებს შეისწავლონ და შეაფასონ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევა, მასშტაბური ჰაკერული შეტევები რიგ სახელმწიფო უწყებებზე, შეისწავლონ ინფორმაცია ამერიკელ სამხედროებზე შეტევის შესახებ ავღანეთში. დიმიტრი პესკოვმა ისიც გაიხსენა, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა უკვე უწოდეს „ავღანურ სიუჟეტს“ ფეიკი. „დემოკრატი“ მმართველებისთვის ეს ეტყობა არაფერს ნიშნავს, ბაიდენმა უბრძანა სადაზვერვო „გაერთიანებას“, რომ სრული ანალიზი ჩაუტარონ „რუსეთელი ჰაკერების“ ქმედებას და ავღანეთში მყოფი ამერიკელი სამხედროების მკვლელობისთვის „დაჯილდოების“ ვითარებასო.

ისრაელელი პოლიტოლოგის, სპეცსამსახურ „ნატივის“ ყოფილი შეფის იაკობ კედმის განცხადებით, ამერიკა მეტად ველარ შეძლებს, პრობლემები ომით გადაწყვიტოს, რადგან რუსეთმა მას მსოფლიო მასშტაბით შეუკრა ხელები. პროფესიონალი ექსპერტის განცხადებით, ამერიკაში დღეს არსებული ურთულესი ვითარება ახლა არ დაწყებულა, აშშ-ი სერიოზული შიდა კონფრონტაციისკენ, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომიდან დაწყებული მიემართება. დღეს უპრეცენდენტოა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შიდა წინააღმდეგობანიო. იაკობ კედმი არსებით, მთავარ პრობლემას დონალდ ტრამპს, ნენსი პელოსისა და სხვა პოლიტიკოსებში კი არ ხედავს, მათ დიდი ხნის მომწიფებულ სირთულეებს უწოდებს. გარდა ამისა, საეჭვოა, ვაშინგტონმა შიდა ამერიკული პრობლემების მოგვარება, პატარა, გამარჯვების მომტანი ომით შეძლონ, რაც წინა ათწლეულებში არაერთხელ უკეთებიათო. ძნელია, არ დაეთანხმო პროფესიონალ სპეცსამსახურელს, ზუსტად მავანისთვის „გამარჯვების მომტან“ მცირე ომს შეეწირა, საქართველოს ორი ძირძველი კუთხე აფხაზეთი-სამაჩაბლო და ქართველი მეომრების სიცოცხლე 2008 წლის აგვისტოში. კედმის განცხადებით, ნებისმიერი მასშტაბის თანამედროვე ომი უკიდურესად ზარალიანია, აშშ-ს კი ფინანსური პრობლემები პანდემიამდე დაეწყო. დღეს ამ ქვეყნის ფედერალური რეზერვი ძლივს უმკლავდება კორონავირუსის გამო დამდგარ გამოწვევებს, ახალი ომი კი მთელი ფინანსური სისტემის ჩამოშლის საფრთხეს შეიცავს. მეორე მიზეზი, რის გამოც ამერიკას ომის დაწყება არ შეუძლია, რუსეთის გაცხადებული სტრატეგიული პოტენციალია. ექსპერტი მიანიშნებს, რომ რუსეთის მზადყოფნა, დაარტყას გადაწყვეტილების მიმღებ რეალურ ცენტრებს, ვაშინგტონს, ნებისმიერ ჰიბრიდულ კონფლიქტში დარტყმის ქვეშ აყენებს. ამერიკის ინტერესის ყველა ზონა (აღმოსავლეთ ევროპა, ლათინური ამერიკა, ახლო აღმოსავლეთი), ამისთანა განაწილება-დანაწილებაში „გადახაზულები“ აღმოჩნდებიან. „ამ ვითარებაში არ გაქვს ომის დაწყების ძალა, საერთოდაც ვისთან იწყებ? დღეს ამერიკას არავისთან არ შეუძლია ომის დაწყება. ამერიკელ სამხედროებს ესმით, რომ უკრაინა — რუსეთთან ომია, ისევე, როგორც სირია და ვენესუელაც კი. ამერიკას არ შეუძლია დღეს ომის დაწყება, რადგან არსებობს რუსეთი. დღევანდელ ვითარებაში ბალკანური ვარიანტი (იუგოსლავიის დაშლა), შეუძლებელი იქნება“, განაცხადა იაკობ კედმიმ.

„დემოკრატიის“ აკვანში მიმდინარე პროცესებმა, როგორ მოექცნენ ე.წ. ობიექტურ-დემოკრატიული პოლიტიკოსები და მედია საკუთარ პრეზიდენტს, ვგულისხმობთ დონალდ ტრამპს, რომელსაც სულ ახლახანს ჩატარებულ არჩევნებში 75 მილიონმა ამერიკელმა დაუჭირა მხარი, შოკში ჩააგდო მსოფლიოს საღად მოაზროვნე საზოგადოება. ეს ქვეყანა გვასწავლის ჭკუას და მიგვითითებს „დარღვევებისკენ“, რომლის საქციელიც ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების მიმართ, არავითარ სამართლიანობის, კანონიერების, მორალისა და ზნეობის ჩარჩოებში არ ჯდება.

„ბაიდენმა ცრემლი ჩამოაგდო, ისეთი შთაბეჭდილე რჩება, თითქოს წინასწარ გამოიტირა თავისი დასაფლავება, თქვა კიდეც, რომ მოვკვდები, ჩემს გულში იქნება სიტყვა დელოვერიო. ცუდის მომასწავებელია, ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ვურჩევდი საიდუმლო სამსახურებს, რომლებიც პრეზიდენტ ბაიდენს იცავენ, რომ რეანიმატოლოგების სპეციალური ბრიგადე შექმნან, რომლებიც მუდმივ თანხლებას გაუწევენ პრეზიდენტს. პრეზიდენტის კორტეჟში აუცილებლად უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ღმერთმა არ ქნას ბაიდენი ცუდად გახდეს, მაგრამ გამოაყოჩაღონ, გამოაღვიძონ სანამ იგი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებს წაიკითხავდეს. აუცილებელია, ამერიკის საუკეთესო ექიმებისგან შემდგარი, მუდმივმოქმედი ბრიგადა, ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროს ამერიკის საიდუმლო სამსახურმა. რაც შეეხება პოლიტიკურ თვალსაზრისს, შეხედეთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიება, ამერიკის 46-ე პრეზიდენტის ინაუგურაცია, ერთგვარ გლობალურ „წმენდად“ გადაიქცა, გეგონება იქ პრეზიდენტი ტრამპი კი არ ცხოვრობდა, ბაღლინჯოების გიგანტური ბუდე იყო, ან პოლიტიკური დეპროზორიუმი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, გეგონება კოვიდის ვირუსებს კი არ კლავენ, არამედ დონალდ ტრამპის სულს, სხვა ამერიკის სულს, რომელსაც უნდოდა გამხდარიყო დიადი ქვეყანა“, განაცხადა იგორ კოროტჩენკომ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ალო, ტაქსი!

ამ ოცდაათი წლის წინათ, 90-იან წლებში, როცა თბილისში საქალაქო ტრანსპორტი გაქრა, თბილისის ქუჩებში უცნაური მძღოლი გამოჩნდა, რომელიც მგზავრებს უფასო მომსახურებას სთავაზობდა.

ეს ამბავი, როგორც წესი, საღამოს საათებში ხდებოდა, როცა შეგვიანებულ მგზავრს, ფაქტობრივად, შინ დაბრუნების ერთადერთი შანსი ჰქონდა — ფეხით გაჰყოლოდა სახლისკენ მიმავალ გზას.

— დაბრძანდით, ბატონო! სადაც მეტყვით, იქ მიგიყვანთ. მომსახურება უფასოა, — ეუბნებოდა მძღოლი მოულოდნელი შეთავაზებით შეცბუნებულ, უფრო ზუსტად, შეშინებულ მგზავრს.

დრო იყო ისეთი — ქუჩაში ათასი ჯურის ბანდიტი და ყაჩაღი დაძრწოდა და უცხო მანქანაში ჩავჯდომა სარისკო და სახიფათო საქმე იყო.

— ნუ გეშინიათ, ბატონო, დაბრძანდით! — ისევ იმეორებდა თხოვნას მძღოლი და დამფრთხალი მგზავრი კიდევ თუ გაჯიუტდებოდა, მანქანიდან გადმოდიოდა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ დიდი იყო მგზავრის გაკვირვება, მერე კი საოცარი შვება და სიხარული, როცა „მოძალადე“ მძღოლში თავის საყვარელ მსახიობს კახი კავსაძეს ამოიცნობდა.

ასე ემსახურებოდა ბატონი კახი გაჭირვებაში ჩავარდნილ თავის თანაქალაქელებს, სანამ სიმწრით ნაშოვნი ბენზინი ბოლო წვეთამდე არ ამოიწრიტებოდა.

●

30 წლის შემდეგ, 2020-ში, კორონავირუსთან დაკავშირებით, თბილისში ისევ გაქრა საქალაქო ტრანსპორტი და გადაადგილების

ერთადერთ უალტერნატივო საშუალებად ტაქსი შეგვრჩა ხელში.

სამწუხაროდ, XXI საუკუნის ახალ საქართველოში ახალი კავსაძეები არ გამოჩენილან, სამაგიეროდ, ტაქსისტებმა იმწამსვე იგნოსეს, რომ სერიოზული ფულის გაკეთების შანსი გაჩნდა და ტარიფები გააორმაგეს — ხუთი ლარის ნაცვლად 10 ლარს ახდევინებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს, ათი ლარის ნაცვლად 20 ლარს ითხოვდნენ.

მგზავრს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ან უნდა ჩამჯდარიყო ამ დასაწვავ ტაქსში, ან ჩვეული, ნაცადი „ხერხისთვის“ უნდა მიემართა და ფეხით წაჩანჩალებულიყო სახლში, თუმცა, ამ შემთხვევაში, ახალი საფრთხის წინაშე დგებოდა: თუ 9 საათამდე ვერ მიაღწევდა სახლამდე, 2000-ლარიან ჯარიმას „აირტყამდა“ დაწესებული აკრძალვის დარღვევის გამო.

ამ ჩიხურ სიტუაციაში სახელმწიფო აშკარად ტაქსისტის მხარეს იყო, ხოლო მგზავრი, ისიც იმავე სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქე, ფაქტობრივად, დაუცველ, უუფლებო არსებად იქცეოდა, რომელსაც წინიდან მისი მშობლიური სახელმწიფო აწვებოდა, უკნიდან ტაქსი და ორივე გაჭყლეტით ემუქრებოდა.

გასაგებია, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ანუ, ფაქტობრივად, საომარი მდგომარეობაა.

მაგრამ არ შეიძლება, ომი მოსახლეობის ერთი ფენისთვის ფულის კეთების ეფექტურ საშუალებად იქცეს მოსახლეობის მეორე ფენაზე ძალადობისა და ყაჩაღობის ხარჯზე.

კარგია, თეთრად რომ გადავლებეთ, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, თეთრი ტაქსი გაგვაძრობს ტყავს თუ შავი?

რატომ ვერ მოხერხდა აქამდე, რომ სავალდებულო იყოს, ყველა ტაქსს მრიცხველი ეყენოს და დადგენილი ტარიფის მიხედვით ვიხდიდეთ მგზავრობის ღირებულებას?

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, უფრო ზუსტად, ყველაზე მთავარი საკითხი — ვინ არის და რას წარმოადგენს ადამიანი, რომელიც ტაქსის საჭესთან ზის და მზად არის, იტვირთოს პასუხისმგებლობა ადამიანების კომფორტულ და უსაფრთხო მოსახურებაზე.

ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ეს, ძალიან სერიოზული თემაა, თუმცა ამ სერიოზულ თემას სერიოზულად არავინ ეკიდება.

მგზავრი, სანამ ის ტაქსში ჩაჯდება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მანქანაში მკვლელი, ნარკომანი, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება არ დახვდება და შინ მშვიდობით მივა.

არადა, ამის გარანტიას მას ვერავინ მისცემს, რადგან ამ კუთხით ტაქსის მძღოლს არც არავინ ამოწმებს — მთავარია, მძღოლმა მართვის მოწმობა წარადგინოს, ლოცენზიის ღირებულება გადაიხადოს, მანქანის ტექდათვალიერების დამადასტურებელი ცნობა ჰქონდეს და „ტაქსაობის“ უფლებას უპრობლემოდ მიიღებს.

მანქანის ტექდათვალიერება ნამდვილად საჭიროა, მაგრამ რატომ არ არის საჭირო ამ მანქანის მძღოლის „ტექდათვალიერება“, ანუ იმის გარკვევა, ჯანმრთელია თუ არა ადამიანი, რომელსაც სიცოცხლეს ვანდობთ?

ხშირად მიწევს ტაქსით სარგებლობა და მერწმუნეთ, ტაქსის საჭესთან ხშირად მინახავს ინვალიდები, მინახავს 80 წელს გადაცილებული მძღოლები, მინახავს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, არაადეკვატური ადამიანები, მინახავს ადამიანები, რომლებმაც საერთოდ არ იციან ქალაქი და იმან კი არა, შენ უნდა მიიყვანო დანიშნულების ადგილამდე.

შემხვედრია მძღოლი, რომელმაც არ იცოდა სად იყო მთავრობის კანცელარია, არ იცოდა, სად არის ოპერის თეატრი.

ეს ამბავი სხვა ტაქსის მძღოლს რომ ვუთხარი, გაეცინა და ამ თემაზე ერთ სასაცილო, მაგრამ ნამდვილ ამბავს მოგიყვებიო, მითხრა.

— „ბირჟაზე“ ვდგავართ... ჩემს წინ ერთი ტაქსი იდგა. ვიღაც ქალბატონი მივიდა და მძღოლს რაღაცას ელაპარაკება, მერე კი უცებ მთელი სიმძლავრით მიუჯახუნა კარი და ყვირილი დაიწყო: — მე შენ ვინ გგონივარ, შე დამპალო! ეს როგორ მაკადრე, შე იდიოტო!

აღელვებული ქალბატონი ჩემს მანქანაში ჩაჯდა. იმდენად აღელვებულია, ვერ წყნარდება და გაოგნებული იმეორებს და იმეორებს: ეს რა მაკადრა მაგ მათხოვარმაო.

— ასეთი რა გაკადრათ, ქალბატონო? — ვკითხე ფრთხილად.

— ოპერის თეატრთან მიმიყვანეთ-მეთქი და ის კიდევ, რომელი ოპერის თეატრთან მიგიყვანოთო, მეუბნება. ბოზი ვგონივარ მაგ გათახსირებულს. რა მიგავს მე ბოზს? ოჯახის ქალი ვარ, შვილები მყავს, შვილიშვილები მყავს...

— არა, ქალბატონო, დამიჯერეთ, იმას თქვენი შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. ერთი მივარდნილი სოფლიდან არის ეგ კაცი ჩამოსული და გულწრფელად ჰგონია, ალბათ, რომ თბილისში რამდენიმე ოპერის თეატრია...

●

ყველა ტაქსის მძღოლს არ ეხება ის, რაც ამ წერილში ვილაპარაკე.

უამრავ ტაქსის მძღოლს ვიცნობ — შესანიშნავი ადამიანები არიან, განათლებული, ნაკითხი, თავაზიანი ადამიანები, რომლებიც უკადრებელს არ იკადრებენ.

ამ ნახევარი წლის წინათ ჩემს ახლობელს ტაქსში საფულე დარჩა. შვიდას ლარამდე ფული და საბუთები იყო საფულეში.

— ფულს ვინ დამიბრუნებს, მაგრამ, იქნებ, საბუთები მაინც დააბრუნონო, — წუხდა ჩემი ახლობელი.

მეორე დილას ვიღაცამ დაურეკა, ჩემს მანქანაში თქვენი საფულე ვნახე. მითხარით, რა მისამართზე ხართ, მოვალ და მოგიტანთო.

ცოტა ხანში 35 წლამდე ახალგაზრდა კაცი მოვიდა, საფულე მოიტანა და, ფული გადათვალეთ, თუ შეიძლებაო. სთხოვა ჩემს ახლობელს.

ფულს, რა თქმა უნდა, ერთი თეთრიც არ აკლდა.

ჩემმა ახლობელმა დიდი მადლობა გადაუხადა და ცოტათი გაკვირვებულმა თქვა: სხვა თქვენს ადგილას შეიძლებოდა სხვანაირად მოქცეულიყო — ამ ფულს ჯიბეში ჩაიდებდა, საბუთებს კი სადმე დააგდებდაო.

— სამი კვირის წინ მეუღლე დამეღუპა. სახლში ორი პატარა ბავშვი მელოდება — ერთი ხუთი წლის, მეორე სამი წლის. მართალია, უამრავი პრობლემა მაქვს, ფულიც ძალიან მჭირდება, მაგრამ ასეთი გზით ნაშოვნ ფულს ჩემს ობლებს ვერ მივუტან — არ შეერგებათ! — თქვა მძღოლმა და წასვლა დააპირა, მაგრამ ჩემმა ახლობელმა არ გაუშვა. — ძმურად გთხოვ, ნახევარი შენს ობლებს წაუღე, ნახევარს მე დავიტოვებ. ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრაო.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მძღოლმა მხოლოდ ასი ლარი დაიტოვა.

დღეს ისინი ნამდვილი მეგობრები არიან.

ადამიანი სიკეთისთვის არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე და არა იმისთვის რომ განსაცდელში ჩავარდნილ მეორე ადამიანს დრო უშოვოს, ყელში წვდეს და მოგუდოს.

როგორც იმ ტაქსის მძღოლმა თქვა, არ შეერგება ადამიანს ასეთნაირად ნაშოვნი ფული.

ორმაგს და სამმაგს რომ ახდევინებთ კლიენტს, არ გეკუთვნით ის ფული თქვენ, ძმებო ტაქსისტებო, ხოლო ის, რაც არ გეკუთვნით, არც შეგერგებათ.

კამდენი მძიმე ისტორიების შემდეგ ერთ სახალისო ისტორიასაც მოგიყვებით და ამით დავამთავრებ.

ვარკეთილის მეტროსთან ტაქსი გავაჩერე და პლეხანოვზე, ძველ კინოსტუდიასთან მიყვანა ვთხოვე.

ფასზე შევთანხმდით და დავიძარით.

საჭესთან საშუალო ასაკის კაცი ზის, წვერით და შავი სათვალით.

სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობთ და მოვდივართ ტაატით — ქუჩაში ბევრი მანქანაა.

უცებ მძღოლი ასეთ რაღაცას მეუბნება: დანიშნულების ადგილას რომ მიგიყვანთ, თქვენ, ცხადია, ფულს შემომაძლევთ, ხომ?

— აბა, რას ვიზამ? — ვპასუხობ ამ უცნაური კითხვით ცოტათი გაკვირვებული.

— თქვენ კი შემომაძლევთ, მაგრამ მე ფულის აღებაზე უარს გეტყვით, თქვენ კიდევ არაფრით არ დამიჯეროთ და ფული მომეცით.

— მეღადავებით, პატივცემულო?

— არა, როგორ გეკადრებათ, მაგას როგორ გაგიბედავთ, მაგრამ ისე გააკეთეთ, როგორც მე გთხოვეთ.

...მივედით კინოსტუდიასთან.

მძღოლს ფულს ვაწვდი, მაგრამ ის ფულს არ მართმევს... როგორ გეკადრებათ, ჩაბრძანდით, ბატონო, მე თქვენ ფულს ვერ გამოგართმევთ, — ჯიუტობს მძღოლი, მაგრამ მეც ჯიუტად მივყვები მისგან წინასწარ მოცემულ ინსტრუქციას: — კი, მაგრამ, ამდენი დრო დახარჯეთ, ამდენი ბენზინი დაიწვა, რას ჰქვია, ფულს არ მართმევთ. აიღეთ ფული, თორემ ძალიან მეწყინება. უხერხულ სიტუაციაში ნუ მაგდებთ! — კატეგორიული ტონით ვეუბნები მძღოლს და წინა სავარძელზე ოცლარიანს ვუგდებ.

— ეხ, ბატონო ვახტანგ, მე თქვენ მართლა არ უნდა გართმევდეთ ფულს, მაგრამ გაჭირვებას რა ვუთხარი — საბურავები მაქვს გამოსაცვლელი და ასე კაპიკ-კაპიკ ვაგროვებ ფულს, — მძღოლმა შავი სათვალე მოიხსნა და ხელთ ძველი ნაცნობი მირზა შემრჩა, რომელიც დიდი ხანი არ მენახა.

ოცლარიანიდან 12 ლარი ხურდა მეკუთვნოდა, მაგრამ ახლა მე გავჯიუტდი და ხურდა არ გამოვართვი.

მირზა თვითონ რომ არ გამომცნაურებოდა, მე ვერ ვიცნობდი, აქედან გამომდინარე, მას შეეძლო მშვიდად აეღო ფული და წასულიყო, მაგრამ მან საკუთარ თავს არ აკადრა, გლახაკივით, „ჩმორივით“ „გაპარულიყო“.

მართლაც არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე უფრო მშვენიერი და დიდებული, ვიდრე კაცობა და ადამიანურობაა...

ვახტანგ ხარჩილავა

მამუკა ხაზარაძის თარსი დღე

პოლიტიკური ნოველა

თარსი დღე გაუთენდა მამუკა ხაზარაძეს 19 იანვარს. არა და, ცუდი პირი არ უჩანდა, როგორც ყოველი ზამთრის ამ პერიოდში იცის ხოლმე, სადღაც 7 საათიდან დაიწყო ცაზე ვარსკვლავების გაფერმკრთალება. მიუხედავად იმისა, რომ სინოპტიკოსებს თბილისში ხვავრიელი თოვლის მოსვლა ჰქონდათ გამოცხადებული, ერთი ფანტელიც არ ჩამოფარფატებულა. პირიქით, პერიოდულად მზე ისე იჭყიტებოდა ღრუბლებიდან, გეგონება მარტი, ან აპრილი, ან კიდე მაისიაო. უკეთესს გეტყვით, 18 იანვრის ღამეს ცაზე ვარსკვლავების "პარადი" იყო.

მოკლედ, გათენდა, მამუკას რატომღაც კარაქიანი პური მოუნდა, რა თქმა უნდა, ნაღდ ჰინდურ ჩა-

ისთან ერთად. არ იმჩნევს, თორემ ბოლო დღეებში მოსვენება დაკარგა – აღარ დაადგა საშველი მეხუთე რაუნდის გამართვას, სადაც ვადამდელი არჩევნების საკითხი უნდა განიხილონ ფასილიტატორების ხელშეწყობით. დღე დღეს მისდევს, კვირა – კვირას, თვე – თვეს, ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთსა, მაგრამ რათ გინდა? მაინც ბიძინას ხალხი დარჩა ხელისუფლებაში. მეტიც, ივანიშვილმა ისე დაიყენა საქმე, ისე აიწყო პოლიტიკური მდგომარეობა, ქუდი დაიხურა და არხეინად წავიდა. არა, ეგ ჯერ კიდე გასარკვევია, არხეინად წავიდა თუ არა, მაგრამ გარეგნულად ეგრე სჩანს. ისე, სად წავა, დედამიწა ხომ მრგვალია?

აუუუ... მართლა მაგარი აღმოჩენაა, ბიძინა ივანიშვილი ვერსად დაიმალება, ივლის, ივლის და ბოლოს მაინც აქ მოვა... ძაან მაგარია, რო დედამიწა მრგვალია. კიდე კარგი, წახნაგებიანი არ არი, ან ოთხკუთხედი, ან სამკუთხედი.

მამუკამ "ჰეჩკაში" შეფიცხებულ პურზე ჰოლანდიური კარაქი გადაუსვა. წამით ჩაფიქრდა, ნეტავ შავი ხიზილალით უკეთესი ხომ არ იქნებოდა? აჰ, არა, ალბათ უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რაც პოლიტიკაში მოვიდა, პირობა დადო, რომ არანაირ ხიზილალას და სათალს აღარ მიირთმევს, სინდისი ჰქონჯნის, გული სტკივა... ამას წინებზე ბადრი ჯაფარიძემ კი უთხრა, ნეტავ შენაო, მაგრამ ვერა, ვერ დაიკიდა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა. დიახ, დღემდე ვერავინ აუხსნა, რატომ უნდა ჭამოს, მაგალითად, ხიზილალა მან, როცა საქართველოში ადამიანები შიმშილით იხოცებიან? ის კი არა, კარაქიანი პურიც არ ემეტება საკუთარი თავისთვის, მაგრამ რა ქნას, ორგანიზმს ბოლომდე ხომ ვერ გამოიფიტავს?

ტელეფონის ზარი გაისმა. მამუკა შეხტა, გეგონება ფიქრებიდან ვიღაცამ გამოაგდო, გეგონება ხელი ჰკრა. შემოსულ ნომერს შორი-ახლოდან დახედა, მელია რომ ეპარება ხოლმე ქათმებს, იმ პოზაში. რატომ აუფორიაქდა გული, არც კი იცის, ბოლო დროს სულ ასე ემართება, იმნაირი შეგრძნება აქვს, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა უნდა დაურეკოს, ვიდეო ჩაურთოს და ენა გამოუყოს.

– ალიოოო, – ჩაიდუდღუნა მამუკამ და კარაქიანი პური გვერდით გადადო.

– ბატონო მამუკ, "რუსთავი 2"-დან გაწუხებთ იმანიკო ამანიკოშვილი, ძალიან გვინდა, რომ ამ საღამოს ჩვენთან მობრძანდეთ და ბოღმისგან დაიცალოთ.

– დიდი მადლობა, ეს დასაფასებელია.

– რა მადლობა, რი ატმი კურკა, ეს ქართული მედიის ვალია, მოხვალთ, დაჯდებით, ფეხს ფეხზე გადაიდებთ, თვალებს ზემოთ აპრაწავთ, ხანდახან ქვემოთაც ჩამოპრაწავთ, ხელებსაც, რასაკვირველია, შესაბამისად აპარჭყავთ და ჩამოპარჭყავთ. შევთანხმდით?

– დიახ, შევთანხმდით, მაგრამ ბარემ ისიც მითხარით, მარტო უნდა დავიცალო თუ სხვებიც იქნებიან? დაცლა კოლექტიური იქნება თუ ინდივიდუალური?

– დღევანდელი პროცედურა იქნება ინდივიდუალური.

– შესანიშნავია, მე საერთოდ მარტო ვიცლები ხოლმე... ნუ, ხანდახან ბადრი ჯაფარიძეც მესწრება ხოლმე... ბადრი ძმა არი, პარტნიორია.

– ბატონ ბადრის ჩვენ ცალკე დავცლით.

– უკაცრავად... ვინ გითხრათ, რომ ბოლო დღეებში, დარდი, ბოღმა და კაეშანი შემომაწვა?

– იაგო ხვიჩიამ განუცხადა ჩაჯვივიზიის დამსახურებულ ჟურნალისტს.

– მოკლედ, მტრები მყავს!

– პოლიტიკა ეგეთია, ბატონო მამუკ, ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ თქვა, ცუდას რა ფეხებად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო, გახსოვთ?

– რას ჰქვია, მახსოვს? მახსოვს კი არა, ეგ ჩემზე დაწერა! – გაცხარდასავით მამუკა და უცებ კარაქიანი პური ჩაკბიჩა.

– რას ამბობთ, მართლა? ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცოდი, ბოდიშს ვიხდი ქართველი ერის წინაშე.

– კარგი, არაუშავს, მოვალ ამ საღამოს თქვენთან და მოგიყვანთ აზრზე.

– დიახ, თქვენი მხრიდან ჩვენი აზრზე მოყვანა დიდი პატივი იქნება, გელოდებით.

●

გაჩახჩახებულ სტუდიაში მარტო იჯდა. ბოღმა და კაეშანი გულიდან ამოხეთქვას ლამობდა, უკვე ყელში მოჰბჯენოდა. წამყვანებმა წარადგინეს... ან კი წარდგენა რაში სჭირდებოდა, როცა დუნიაზე ბავშვმაც კი იცის, ვინ არი მამუკა?! თუმცა წესია ასეთი, ვერაფერს იზამდა. დაიწყო: ბიძინაო, ბიძინამაო, ბიძინასაო... ამანაო, იმასაო, ამასაო... ქვეყანაო, დააქციაო, გააპარტახაო, მე უნდა ვუშველოვო, გადავარჩინოვო... ანაკლიაო, ბანაკლიაო, ახტა კოჭიო, დახტა კოჭიო, ეგრე არ არიო და... უცებ მეორე მხარეს, მეორე ჩაყოლებაზე, გაღმა ალიკოს ლანდი გამოკრთა.

მამუკა შეცბა, ხომ დაჰპირდნენ, მარტო უნდა დაგცალოთო? რა პროვოკაციას უწყობენ? ეხლა ეს მევახშეს მიწოდებს და მე უარესად დავიბოღმები – შემომაწვება გულსა შიგან კაეშანი, ხოლო თავ-ყბასა მისას ეწვევა ბნედა და დაღრეჯილობა.

მართლაც!

ალიკომ უთხრა, შენ ხარ მევახშე და ქვეყნის მყვლეფავიო. ალიკოს გვერდით საიდანღაც გაჩნდა იაგო ხვიჩია. ჰმ... ისე, თუ "ოტელო" ნანახი გაქვს, შვილს იაგო რატომ უნდა დაარქვა? თუ არ გაქვს ნანახი, მით უმეტეს, რატომ უნდა დაარქვა? მაშინ კასიო დაგერქმია, შე ოჯახაშენებულო... ან ბრაბანციო დაგერქმია.

– იცი, რას გეტყვი?! – აპილპილდა უცებ ალიკო.

– რა უნდა მითხრა, ალიკო?! – გადმოეკარკლა ისედაც გადმოკარკლული თვალები მამუკას.

– ომი გინდა, ბიჭო?!

– მე მინდა ომი?!

– ჰო, შენ არ იყავი, ბოკერიას გვერდით რო იჯექი და იძახდი, ომია, ძმაო, შევუტიოთ და მერე რაღაცა იქნებაო?!

– აი, ეხლა მე უნდა გავაკეთო საგანგებო განცხადება კაცობრიობის საყურადღებოდ... არ ვაპირებდი, მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებ... დაე, დედამიწაზე მცხოვრებმა ცივილიზებულმა საზოგადოებამ გაიგოს, რომ შენ ხარ მატყუარა და ავანტიურისტი. სხვათა შორის, მე ამის თაობაზე ჯო ბაიდენსაც მივწერ უახლოეს დღეებში, მისტერ ჯომ უნდა იცოდეს ყველაფერი, დიახაც!

– ჰმ... დაგაგვიანდა, მე უკვე მივწერე, რომ შენ ფულებს აპროცენტებ და ხარ დონალდ ტრამპის ძმაკაცი!

– მაიცა, რااა... მე, ბადრი და ჯო ერთნი ვართ, მაგას რო ვუსმენდი, მეგონა, ჩვენი პროგრამა ჰქონდა წაღებული და ფაქტობრივად ეგრეც იყო... ეს არი ჩვენი პროგრამა, რომელიც მარშალის გეგმაშიც იყო ასახული. მეტსაც გეტყვი და უფრო მაგრად მოგიკლავ გულსა, მე და ჯო ვართ ახლო ნათესავები, ჩემი დიდი ბებია და ეგ 1916 წლის გაზაფხულზე, სანამ რუსეთში რევოლუცია დაიწყებოდა, ერთად ისვენებდნენ კისლავოდსკში.

– ჰო, მაგრამ ეგ მაინც არ გიშველის, სააკაშვილის დროსა რეები გაქ ჩადენილი? ჰა, რეები-მეთქი? გლდანის საპყრობილეში ადამიანებ რო აწამებდნენ, მაშინ სად იყავი?!

– სად ვიყავი და ოფლსა ვღვრიდი!

– რა ოფლსა?!

– ბიზნესმენურსა!

– არაფერიც, შენ ღვრიდი ოფლსა აფერისტულსა და მაიმუნურსა!

– "ვსიო", მე შენ აღარ გელაპარაკები!

– ამ ჩემ ფეხებ, თუ არ მელაპარაკები, არც მე გელაპარაკები!

– ოპოზიციის შეკრებებზე არ დაგინახო მოსული!

– შენ რა, ქურდი ხარ?!

– ქურდი თავი გაბია!

– მა რა ხარ?!

– მესია ვარ, ქვეყნის მხსნელი!

ალიკოს გამოხტომები უკვე მოუთმენელი იყო... მამუკას ბოღმა და კაეშანი უფრო მეტად მოაწვა კისრის ჯირკვლებში. წამოდგა, ალიკოსკენ დააპირა გაწევა, სადაც წვრილი იყო, იქ უნდა გაწყვეტილიყო. ალიკოც წამოხტა, გეგონება კინტოურული უნდა ჩამოუაროსო, მაგრამ გადაცემის წამყვანები ჩაუხტნენ მუხლებში მუჯლუგუნებით. მამუკასაც გამოსდეს სარმა და ეგრევე მოსვეს "სკამეიკაზე". იჯდა იაგო გაოგნებული... ვეღარ გაეგო, უნდა შესულიყო თუ არა პარლამენტში...

ნოველა რეალურ ფაქტებზე
დაყრდნობით დაწერა
გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

ᲘᲐᲒᲝ

— გასაგებად ვთქვი მე? თუკი „ნაცმოძრაობა“ არ შევიდა პარლამენტში, ჩვენ იქ ფეხის შემდგმელი არ ვართ! — განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

თუ ასეა, რას ფაფხურობთ ამდენს, გირჩელებო, დაელოდეთ ნაცების გადაწყვეტილებას — შევლენ? — შეჰყევით! არ შევლენ? — არ შეხვიდეთ! კლდიდან გადახტებიან? — გადახტით! ჭაობში ჩახტებიან? — ჩახტით! გაგიჟდებიან? — თქვენც გაგიჟდით!

„ნაცმოძრაობის“ გარეშე ხმების საჭირო რაოდენობა ვერ გროვდება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მივიღოთ და ამიტომ ვაყენებთ აუცილებელ პირობად „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში შესვლის საკითხსო, — აცხადებს ხვიჩია და ხმაში რვალსა და ფოლადს ურევს — ამ თემაზე მეტად არავინ დაგველაპარაკოსო.

საინტერესო ვინმეა ეს იაგო ხვიჩია (საინტერესო ტიპია-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ეწყინება ხვიჩიას და გადავიფიქრე).

— მაგარი პარტია ვართ ჩვენ და იმიტომაც გვიმიზნებენ ყველა მხრიდან მახვილს, მაგრამ ამ მახვილს წინ ფარი ხვდება და ეს ფარი არის ჩვენი სიმართლეო, — კი არ კლაპარაკობს, სიტყვას ტყვიასავით ისე აჯენს სიტყვაში იაგო, შეიძლება კაცს შეეშინდეს — ამან ახლა საიდანღაც ავტომატი არ დააძროს და სროლა არ ატეხოსო.

— გიორგი ვაშაძემ შეთანხმება დაარღვია — შევთანხმდით, უნდა შევხვედროდით ერთმანეთს და არ შეგვხვდა. ვაშაძე ამის გამო დაისჯება! — კბილებიდან ცრის იაგო და მომხიბლავი ემას (ტუხიაშვილის) მცდელობა, თეთრი მანდილი ააფრიალოს განრისხებული იაგოს წინ და მისი მრისხანება დააცხროს, უშედეგოდ მთავრდება.

— გიგი უგულავა ციხეში ნაჯდომი კაცია და უნდა იცოდეს, ნათქვამ სიტყვას შესრულება უნდა! — ისე აშკარად და ღიად აწვება ქურდულს და ძველბიჭურს იაგო, რომ ეჭვი ჩნდება — თვითონაც ნაჯდომი ხომ არის ეს ჩვენი იაგოი?

გავიკითხ-გამოვიკითხეთ და საქართველოში არ აღმოჩნდა ციხე, სადაც ოდესმე იაგო ხვიჩია იჯდა, სამაგიეროდ, გაირკვა, რომ, ხვიჩია მამუკა ხაზარაძის ოფისში არის დიდხანს ნაჯდომი და, როგორც ჩანს, ხაზარაძის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

ხაზარაძეც ხომ იმისთვის მოდის ქართულ პოლიტიკაში, რომ წესიერების, პატიოსნების და, რაც მთავარია, ნათქვამი სიტყვისადმი ერთგულების მაღალი სტანდარტები დანერგოს.

— თანამედროვე ყაიდის ერთადერთი პარტია ვართ ჩვენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, — აცხადებს ხვიჩია.

ჰო, მაგრამ, ეს ის პარტია არ არის, ქართველ ახალგაზრდებს დეზერტირობას რომ ასწავლის და ქართულ ჯარში სამსახურისგან თავის დასაღწევად „ეპისკოპოსის“ და ღვთის მსახურის ყალბ ცნობებს რომ ურიგებს?

ამაზე უფრო დიდი ღალატი და მავნებლობა რა შეიძლება იყოს?

პუტინის ბაღის ხეებს ხომ არ ასხია თქვენი „გირჩი“, გირჩელებო?

თქვენ ის ხალხი არ ხართ, ქართველი კაცისთვის წარმოუდგენელი საქციელი რომ ჩაიდინეთ, შარვლები ჩაიხადეთ და რუსებს უკანალები რომ მიუშვირეთ?

თქვენ ის ხალხი არ ხართ, მარიხუანას „პიტომნიკი“ რომ გქონდათ ოფისში გახსნილი და ისედაც თავგზააბნეულ ახალგაზრდებს „პლანაქეშობის“ პირად მაგალითებს რომ აძლევდით?

პარტია ხართ თქვენ თუ მტრის მიერ შემოგზავნილი დესანტი?

— მაგარი პარტია ვართ ჩვენ, ვინმეს რაიმე არ შეეშალოს, თორემ ყველას საკადრის პასუხს გავცემთ! — იქადნება იაგო და „მუსკულებზე“ იყურება, რომელიც არ აქვს.

ერთ ჩემს ძველ ნაცნობს მაგონებს პატივცემული იაგო...

ჩია ტანის იყო ის ჩემი ნაცნობი, გამხდარი, გალეული, მაგრამ ორ ჭიქას რომ დალევდა, მაინცდამაინც ორმეტრიან ტიპებს უნდა გაქაჩვოდა.

ერთხელაც ერთ ზორბა, სპორტული აღნაგობის ტიპს შეუჩნდა და არ მოასვენა.

იმან ჯერ უთმინა, უთმინა, ბოლოს კი სტაცა ხელი გულისპირში და ციმციმ ასწია ჰაერში.

უცებ „ზემოდან“ ისმის: არ დამსვა ძირს, თორემ მოგიტ.ნავ დედას!

ჰაერშია ახლა ჩვენი იაგო და არ დასვათ ძირს, თორემ დაგვბეთქვავს ყველას...

ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲐ ᲔᲫᲒᲕᲔᲠᲐᲫᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ

„შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა: — რომელ პარტიას ეკუთვნი, ეძგვერაძე ბარნაბა?“ — ეს ლექსი ხომ გსმენიათ? ჰოდა, იმ ბარნაბა ეძგვერაძის შვილიშვილი ვარ მე, ბარნაბა ეძგვერაძე — „მლადში“.

ბაბუაჩემის მონათხრობიდან ბევრი რამ ვიცი, მეც ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ჩვენი ე.წ. ოპოზიცია რომ არის, ეგეთი არც არაფერი მინახავს და არც არაფერი მსმენია.

რას ჰგავს, კაცო, ეს, რა ჭაჭანაჭამი ინდაურებივით დაბორიალობენ ეს უბედურ დღეზე გაჩენილები?

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ამ ტელეჟურნალისტებს მაინც რა სჭირთ, ამ დარეტიანებულ ინდაურებს აღმა-დაღმა, სტუდიიდან სტუდიაში რომ დაარბენინებენ და მთელი სერიოზულობით რომ ეკითხებიან: შედიხართ თუ არა პარლამენტში? თუ არ შედიხართ, რატომ არ შედიხართ? თუ შეხვალთ, რა პირობებით შეხვალთ?

სამი თვეა, მეტი არაფერი ისმის ტელეეკრანებიდან.

გაბეზრდა ხალხი, ყელში ამოუვიდა „ინდაურების“ გაუთავებელი ყვიტყვიტი: ყვიტ-ყვიტ, შევალთ! ყვიტ-ყვით, არ შევალთ!

აბა, კარგად მოვუსმინოთ, რასთან დაკავშირებით მიდის ეს „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ყვიტ-ყვიტი?

— არჩევნები გაგვიყალბეს და ამიტომ ბოიკოტს ვაცხადებთ და არ შევალთ პარლამენტშიო! — ამბობს ოპოზიცია.

— არა, ბატონო, არჩევნები არ გაყალბებულა, თქვენ პატიოსნად აგირჩიათ ხალხმა და ამიტომ პარლამენტში უნდა შებრძანდეთო! — პასუხობს ხელისუფლება.

— რას ჰქვია, პატიოსნად აგვირჩია? არჩევნები ნამდვილად გაყალბდაო! — თავისას არ იშლის ოპოზიცია.

— ხელახლა გადავთვალოთ მაშინ, — სთავაზობს ხელისუფლება.

— რა საჭიროა გადათვლა? ისედაც ვიცით, რომ გაყალბდაო, — პოზიციას არ თმობს ოპოზიცია.

მოდით ახლა, მარტივად, გლეხურად გავშიფროთ, რას ამბობს ოპოზიცია.

რას ამბობს და იმას ამბობს, რომ, რადგან არჩევნები გაყალბდა, შეიძლება ჩვენ სულაც არ მიგვიღია იმდენი ხმა, რამდენიც ცესკო-მ გამოაცხადაო.

საკუთარი წარმატება ეეჭვებათ ამ საცოდავებს და, როგორც ჩანს, გულწრფელად უკვირთ, საქართველოში იმდენი სულელი როგორ იქნება, რომ ამდენი ხმა მიგვეღოო.

გულის სიღრმეში მეც ვეთანხმები ოპოზიციას და ვფიქრობ, რომ მათი ეჭვი საფუძველს არ არის მოკლებული...

მიუხედავად ამისა, კუდი მაინც ყავარზე აქვთ გადებული და ისე ამპარტავნულად, ისე ქედმაღლურად იქცევიან, თითქოს მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელი მსოფლიოს ბედი მათზე იყოს დამოკიდებული.

ამპარტავნობის გამოა, ერთმანეთში რომ ვერ თანხმდებიან. ვითომ ერთად არიან და ამ დროს ერთი ალთასაა, მეორე — ბალთას, მესამე ტყემალზე ზის და იქიდან ბლის კურკებს ისვრის.

— ქართველთა ერთიანობა ვინ თქვა, ბაბუ? ყველა ქართველს თავი პირველი ჰგონია და დანარჩენებს ზემოდან დაჰყურებს. მაგან არ დაგვღუპა ცხრაასოცდაათხში? — იტყოდა ხოლმე ბაბუაჩემი ბარნაბა.

ასი წელი გავიდა მას შემდეგ და ქართველები არ შეცვლილან და არც არასოდეს შეიცვლებიან.

მოღალატეები არიან ესენი, ეს ე.წ. ოპოზიციონერები, ჩვეულებრივი მოღალატეები, პირადი ამბიციების, ამპარტავნობის, სიხარბის, მოხვეჭის გამო რომ სწირავენ ქვეყანას.

მოლაპარაკებების რაუნდები, თავზე ხელის გადასმა, მობრძანდი-დაბრძანდი კი არა, ამათ ისე უნდა მოექცე, როგორც ჩვენი წინაპრები ექცეოდნენ მოღალატეებს, მაგრამ ვინ დაგანებებს — აქეთ დემოკრატიაო, იქით სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაო, იქით ვაშინგტონიო, აქეთ ბრიუსელიო და გალაღდნენ და გაიფურჩქნენ ეს ქვეყნის ამომგდები წუპაკი მამაძაღლები — მიშიკოები და შალიკოები, კაკოები და თაკოები, ნინიკოები და გივიკოები, ვირიკოები და სირიკოები.

დემოკრატიასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა.

ბაბუაჩემი ბარნაბა „პრავდის“ ძველ ნომრებს ინახავდა, რომლებშიც შუაში ჩანართი იდო, მგონი, დემოკრატიის ფურცელი ერქვა, სადაც ყველას შეეძლო თავისი განსხვავებული აზრი გამოეთქვა.

1937 წლამდე იდო ეს დემოკრატიის ჩანართები „პრავდაში“, მერე კი უცებ გაქრა.

როგორც ჩანს, სტალინი მალევე მიხვდა, რომ ამ ჩანართებით სახელმწიფოს ვერ ააშენებდა.

დემოკრატიის ზედმეტად გაფეტიშება, დემოკრატიით სპეკულაცია ისევე აფუჭებს დემოკრატიას, როგორც ზედმეტი შაქარი — ჩაის თუ ყავას. ზედმეტად ტკბილი მწარეზე უარესია.

ჩვენ, ეძგვერაძეებს, ვიღაც-ვიღაცებივით პოლიტიკა რუსთაველის მეტროდან თავისუფლების მოედნამდე ხეტიალში და გაუმარ-ჯოს ძახილში კი არ გვაქვს ნასწავლი, მთელი ერთი საუკუნეა პოლიტიკაში ვართ და ამიტომ — ენდეთ ჩვენს გამოცდილებას და სიბრძნეს.

ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲐ ᲔᲫᲒᲕᲔᲠᲐᲫᲔ
თვითნასწავლი პოლიტიკოსი

„ბებერი ეშმაკის რჩევები ახალგაზრდა ეშმაკისთვის“

„როცა გეშინია, ყველაზე კარგია საფრთხისკენ პირით დადგე და ზურგს უკან იგრძნო რაღაც სითბო და იმედი“. ეს სიტვები ირლანდიელ მწერალს, პოეტს, მეცნიერს და ღვთისმეტყველს კლაივ სტეპლზ ლუის ეკუთვნის. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაბადებული კლაივ ლუისის "ბალამუტის წერილები", ოცდამეერთე საუკუნეში ფრიად აქტუალური გახდა. თვითიზოლაცია, სოციალური დისტანცია, შიში, უმუშევრობა, უიმედობა, გულგრილობა, სოციალური კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანა – ეს ის საკვანძო საკითხებია, რომლებზეც მწერალი „ბებერი ეშმაკის რჩევები ახალგაზრდა ეშმაკისთვის“ წერს. „ახალგაზრდა ეშმაკი ბებერ გამოცდილ ეშმაკს ეკითხება: – როგორ მოახერხე ამდენი სულების ჯოჯოხეთში გაგზავნა? ბებერი ეშმაკი: – შიშის საშუალებით! ახალგაზრდა: – ყოჩაღ! და რისი ეშინოდათ? ომების? შიმშილის? – არა ავადმყოფობის! – ისინი არ იყვნენ ავად? არ კვდებოდნენ? წამალი არ იყო? – ავად გახდნენ. დაიხოცნენ. იყო წამალი-ვერ გავიგე – მათ გადაწყვიტეს, რომ ერთადერთი, რაც უნდა შეინარჩუნონ ნებისმიერ ფასად, არის სიცოცხლე! შეწყვიტეს ჩახუტება, შეწყვიტეს ერთმანეთის მოკითხვა! მათ დაივიწყეს ყველანაირი ადამიანური კონტაქტი...დატოვეს ყველაფერი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევდა! ისინი ფულის გარეშე დარჩნენ. მათ სამსახური დაკარგეს, მაგრამ მათ სიცოცხლის შიში არჩიეს, მაშინაც კი, თუ პური არ ჰქონდათ საჭმელად. ისინი უჯერებდნენ მოსმენილს, კითხულობდნენ გაზეთებს და ბრმად უჯერებდნენ ყველაფერს რასაც კითხულობდნენ. მათ თავისუფლებაზე უარი თქვეს, დათმეს. ისინი არ გამოდიოდნენ სახლიდან, არსად აღარ დადიოდნენ. აღარ სტუმრობდნენ მეგობრებს და ოჯახის წევრებს. მთელი მსოფლიო გადაიქცა უზარმაზარ ციხედ, მოხალისე მსჯავრდადებულებად. მათ ეს ყველაფერი მიიღეს! ეს ყველაფერი კიდევ ერთი უბედური დღე რომ ეცოცხლათ იმისთვის მიიღეს...ისინი არ ცხოვრობდნენ, ისინი ყოველდღე კვდებოდნენ! მათი საწყალი სულის წაყვანა ჯოჯოხეთში ძალიან იოლი იყო“ეს გახლავთ,"ბებერი ეშმაკის რჩევები ახალგაზრდა ეშმაკისთვის". წიგნიდან "ბალამუტის წერილები". დიახ, 1941 წელს გამოცემულ წიგნში, იმ დროინდელი და დღევანდელი მსოფლიოს დიდი პრობლემა განიხილება-ადამიანური სახის, ღირსების დაკარგვა, უბადრუკ სიცოცხლეზე „ჩამოკიდება“, რწმენის ნაკლებობა... სამწუხაროდ, აღნიშნულ პერიოდში და ეხლაც, გარკვეული ძალები ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მოქმედებდნენ რათა ხალხი მორჩილ ცხვრებად ექციათ... ლუისის განმარტებით – „ყველა ადამიანი იღებს ცხოვრებაში იმას, რაც სურს. მაგრამ ამის შემდეგ ყველას არ უხარია. მე დავწერე ის, რისი წაკითხვაც მინდოდა. ადამიანები ამას არ წერდნენ, მე თვითონ მომიწია“ ამ, საოცარი წიგნის ავტორმა, ადრეულ ასაკში გამოიჩინა ინტერესი მითოლოგიისა და ლიტერატურის მიმართ, რასაც ხელს უწყობდა და ავითარებდა მისი მასწავლებელი კერკპატრიკი, რომლისგანაც ის კერძო გაკვეთილებს იღებდა. 1917 წელს შევიდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე ომში წავიდა, სადაც დაჭრეს. გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნდა ოქსფორდში, დაასრულა სწავლა. 1954 წელს ლუისი სამუშაოდ კემბრიჯში გადავიდა, სადაც დაიკავა პროფესორის თანამდებობა; 1955 წელს გახდა ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. როგორც მეცნიერი, იგი ცნობილია გამოკვლევებით შუასაუკუნეების ინგლისური ლიტერატურის შესახებ, ხოლო როგორც ღვთისმეტყველი – შრომებით, რომლებშიც ქრისტიანობა განმარტებულია იმ ადამიანის თვალთახედვით, რომელმაც ბავშვობაში დაკარგა რწმენა და მას დაუბრუნდა უკან შუახნის ასაკში. მისი პირველი ლიტერატურული პუბლიკაცია იყო პოეტური კრებული „დამძიმებული სული“ (1919). პირველი ქრისტიანული ტრაქტატი „ტანჯვა“ დაწერა მეორე მსოფლიო ომის დასწყისში. იმ დროს ეკლესიები მოულოდნელად გაივსო ხალხით და ლუისს ხშირად იწვევდნენ ხან მფრინავებთან, ხან რადიოში არა როგორც ფილოლოგს, არამედ როგორც მქადაგებელს. ლუისი მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას სამაგალითოდ მიიჩნევდა: როგორც ირკვევა, მას წინასწარმეტყველური და ტელეპათიური ნიჭიც ჰქონდა და ლოცვის ძალასაც მისეულად, დასაბუთებულად აფასებდა – „რამდენიმე წლის წინ დილაადრიანად სადალაქოში შესვლა დავაპირე, რადგან იმ დღეს ლონდონში უნდა გავმგზავრებულიყავი. მაგრამ პირველივე მიღებული წერილიდან შევიტყვე, რომ ლონდონში ჩემი წასვლა საჭირო აღარ იყო. გადავწყვიტე, თმის შეჭრაც სხვა დროისთვის გადამედო. მაგრამ მოულოდნელად გონებაში ვიღაცამ დაჟინებით ჩამძახა, თითქმის ხმამაღლა: „წადი დალაქთან...“ ამ ხმას ვერ შევეწინააღმდეგე. წავედი. სადალაქოს კარის გაღება ვერ მოვასწარი, რომ შესძახა: „ო, როგორ ვლოცულობდი, რომ მოსულიყავით!“ და მართლაც, ერთი დღითაც რომ დამეგვიანა, ვეღარაფრით ვუშველიდი“.



„ლოცვა – ეს არის ვედრება, თხოვნა. თხოვნის არსი კი ბრძანებისგან განსხვავებით იმაშია, რომ იგი შეიძლება შეისმინო ან, პირიქით, არც კი ათხოვო ყური. როდესაც ყოვლისმცოდნე ღმერთი ერთობ უგუნურ ქმნილებათა თხოვნას ისმენს, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია არ გვისმინოს. ლოცვის უცვლელი წარმატება სულაც არ იმეტყველებდა ქრისტიანობის სასარგებლოდ. უფრო ჯადოქრობისა და მაგიის სფეროა ზოგიერთი ადამიანის უნარი, პირდაპირ მოახდინოს ზემოქმედება მოვლენათა მსვლელობაზე“.

„სიტყვა აზრის გარეშე ცამდე ვერ აღწევს“, – ამბობს მეფე „ჰამლეტში“. ჩაილაპარაკო ლოცვის სიტყვები და ილოცო, სულაც არ არის ერთი და იგივე; სხვანაირად რომ იყოს, ექსპერიმენტისთვის გაწვრთნილი თუთიყუშებიც გამოდგებოდა. თუ ჩვენი მიზანი არ არის ავადმყოფის განკურნება, ლოცვას ვერ შევძლებთ.

ჩვენ ვევედრებით და ვთხოვთ არა მხოლოდ ღმერთს, არამედ ახლობლებსაც. ვთხოვთ, მოგვაწოდონ მარილი, მოგვიმატონ ხელფასი, ვიდრე შინ არ ვართ, მოუარონ ჩვენ კატას, უპასუხონ ჩვენს სიყვარულს. ისინი ხან ისმენენ ჩვენს თხოვნას, ხან – არა. მაგრამ წარმატების შემთხვევაშიც კი, ადვილი არ არის თხოვნასა და თანხმობას შორის მეცნიერული სიზუსტით მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა. იქნებ თქვენს მეზობელს უთხოვნელადაც მოევლო თქვენი კატისთვის; იქნებ თქვენს უფროსს უბრალოდ ეშინია, არ გადაგიბირონ და ჯიბეს იჩხრეკს? რაც შეეხება სიყვარულს, დარწმუნებული ხართ, რომ გულს სთხოვდით ლამაზ ქალს, დიდი ხნის წინ რომ არ ყოფილიყავით მისი რჩეული? იბადება რწმენა, რომ ღმერთი ყოველთვის ისმენს და ზოგჯერ შეისმენს ჩვენს ლოცვებს. ის, ვინც კარგად იცნობს ამა თუ იმ ადამიანს, იოლად მიხვდება, თხოვნის გამო გააკეთა მან ის, რაც ჩვენ გვსურდა, თუ სხვა რამის გამო. და ვინც კარგად იცნობს ღმერთს, გაიგებს, მე ლოცვის პასუხად მივედი დალაქთან თუ არა.

როდესაც ჩვენ მივმართავთ ღმერთს, პასუხი მხოლოდ შედეგია და თავისთავად არც თუ ისე მნიშვნელოვანი და მაინც ლოცვა-თხოვნა ჩვენთვის ნებადართულია და ის თავად უფალმა გვამცნო: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“. აქ არც თუ მარტივადაა საქმე. თითქოს ყოვლისმცოდნეს სჭირდებოდეს ჩვენი კარნახი, ყოვლადმოწყალეს – ჩვენი წუწუნი. მაგრამ მას ასევე არ სჭირდება შუამავლები, არც სულიერი, არც უსულო. მას შეეძლო ჩვენი სიცოცხლის უზრუნველყოფა საკვების გარეშე, პურის მოცემა მიწათმოქმედებისა და მცხობელების გარეშე ანდა რწმენის გაღვივება მქადაგებლების გარეშე. მან კი ინება, ეთანამშრომლა მასთან მიწასაც, ამინდსაც, ცხოველებსაც, ჩვენს აზრსაც და ნებასაც. პასკალი ამბობს: „ღმერთმა ლოცვა თავისი ქმნილებისათვის დიდი პატივის მისანიჭებლად დააწესა, პატივისა, იყოს მიზეზი.“ და მან არა მხოლოდ ლოცვა დააწესა ამ პატივისათვის. იგი ამ პატივს ჩვენს ყოველ მოქმედებაში გვანიჭებს. საოცარია, რომ ჩემს ლოცვას შეუძლია ცხოვრებაზე იქონიოს გავლენა; არანაკლებ საოცარია (თუმცა მეტად – არა) ისიც, რომ მასზე გავლენას ახდენს ჩემი საქციელი. მგონია, რომ ღმერთი თვითონ არ აკეთებს იმას, რაც შეუძლია, რათა ღირსება მოგვანიჭოს ჩვენ, ადამიანებს. მას სურს, რომ ნელა და მოუქნელად ვაკეთოთ ის, რასაც თვითონ სწრაფად და ბრწყინვალედ გააკეთებდა. იგი ნებას გვრთავს, უგულებელვყოთ მისი მცნებები და ითმენს, თუ ჩვენ არ შეგვიძლია მათი შესრულება. ალბათ, ჩვენ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, როგორ თანამოქმედებს სასრული, მაგრამ თავისუფალი ნება ყოვლისმპყრობელის ნებასთან. ისეც ჩანს, თითქოს უფალი მუდამ თავს იკავებს, ყოველ წამს უარს ამბობს თავის ხელმწიფებაზე. ჩვენ არ ვართ მომხმარებლები და მაყურებლები – ჩვენ უფლის თამაშში მონაწილეობის მიღების პატივი გვერგო.

ლოცვა არ არის მექანიკა. ლოცვა არ არის მაგია. ლოცვა არ არის რჩევა ღვთისადმი. როგორც ყოველი ჩვენი ქმედება, ისიც ღმერთის ქმედებასთანაა დაკავშირებული, ურომლისოდ არაფერს ნიშნავს ყველა მიწიერი მიზეზი. კიდევ უფრო საშიშია იმაზე ფიქრი, რომ ადამიანები, რომელთა ლოცვაც სრულდება, უფლის გავლენიანი ფავორიტები არიან მის სამეფო კარზე. ერთმა გამოცდილმა და კეთილმა ქრისტიანმა მკაცრი სიტყვები მითხრა: „მინახავს მრავალი აღსრულებული ლოცვა და მრავალი სასწაული, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ ეძლევა ნეოფიტებს – მოქცევის წინ და მოქცევიდან უახლოეს ხანში“. რა გამოდის, უფალი უპასუხოდ ტოვებს თავის საუკეთესო მეგობრებს? რას იზამ, საუკეთესოთა შორის საუკეთესომ შეჰღაღადა: „რატომ დამტოვე მე?“ როცა ღმერთი ადამიანი გახდა, ეს ადამიანი ჩვენზე ნაკლებად, ყველა ჩვენგანზე ნაკლებად იყო ნუგეშცემული. ეს არის დიდი საიდუმლო და კიდეც რომ შემეძლოს, მაინც ვერ გავბედავდი ამის ახსნას. გავაკეთოთ სხვა რამ: როცა იმედისა და ალბათობის მიუხედავად, სრულდება ისეთი ადამიანების ლოცვა, როგორებიც მე და თქვენ ვართ, არ უნდა გავამაყდეთ. უფრო ძლიერნი და გამოცდილნი რომ ვყოფილიყავით, ასე ფრთხილად და ნაზად არ მოგვეპყრობოდნენ.“დიახ, კლაივ ლუისის მიერ 72 წლის წინ ნათქვამი სიტყვები დღესაც ისევ დროული და აქტუალურია. უბრალოდ ჩაანაცვლეთ „ატომური ბომბი“ სიტყვით „კორონავირუსი“. „ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ ატომური ბომბის შესახებ. „როგორ უნდა ვიცხოვროთ ატომურ ეპოქაში?“ გავბედავ და ვიტყვი: „ისე, როგორც იცხოვრებდით მე-16 საუკუნეში, როცა შავი ჭირი თითქმის ყოველ წელს სტუმრობდა ლონდონს; ან ისე, როგორც იცხოვრებდით ვიკინგების ეპოქაში, როცა სკანდინავიიდან მოსულ მოთარეშეებს შეიძლება ყელი გამოეჭრათ თქვენთვის ღამით; ან ისე, როგორც უკვე ცხოვრობთ სიმსივნის ეპოქაში, სიფილისის ეპოქაში, დამბლის ეპოქაში, საჰაერო თავდასხმათა ეპოქაში, თუ რკინიგზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევათა ეპოქაში, ავტოკატასტროფათა ეპოქაში.“

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ამ ორიოდე კვირის წინათ მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მიწას მივაბარეთ ჩვენი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, უნიჭიერესი პოეტი და უკეთილშობილესი პიროვნება ზაურ მოლაშხია, რომელიც კორონავირუსმა იმსხვერპლა.

გაუხარელი და უიღბლო თაობაა ჩემი თაობა — მაშინ, როცა თავისი ნიჭიერებით, ქვეყნისადმი უანგარო მსახურებით, თავდადებული შრომით მოწეული მოსავალი უნდა მოემკო, ქვეყანა დაინგრა და ნანგრევებქვეშ, პირველ ყოვლისა, მწერლობა და მათ შორის, ჩემი თაობაც მოიყოლა. თუმცა არც მწერლობას და არც ჩემს თაობას ბრძოლა არ შეუწყვეტია.

ამ ბრძოლაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ზაურ მოლაშხია — ეროვნული მოძრაობის უშიშარი ჯარისკაცი, ქართული სიტყვის ერთგული მსახური.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ვახტანგ ხარჩილავა

გამოუნელდა მზე ღვინოსავით

გამოუნელდა მზე ღვინოსავით
და ჩაადევნა მზერა დაღმართებს...
ერთ დროს მეხვავე იყო მოსავლის,
არ ჩერდებოდა კაცი დაღლამდე.
ახლა ძლივს მიდის. თითქოს ფეხს ითრევს,
თითქოს ყოფიდან ვერ გაეტია...
რა დანანებით ხელს უქნევს მინდვრებს, —
თვალს მიფარებულ მზეს გაეტირა.

დარ-ავდარის თვეა

დარ-ავდარის თვეა,
დარ-ავდარი, დარ-ავდარი, დარი...
მუქი სინათლეა,
თოვლგარეულ წვიმას არხევს ქარი!
ზის სარკმელთან ბიჭი,
მამის ნატვრა, მამის ალი-კვალი...
შეშა ნელა იწვის
და ბუხრიდან მიიხვევა კვამლი.
დაღვრემილი დღეა,
თითქოს უკრავს ჟამგასული თარი...
დარ-ავდარის თვეა,
დარ-ავდარი, დარ-ავდარი, დარი!

ზმანება N9

მასულდიდგულებს სიტყვის მარილი...
გადადილავდა... მაღლა ლაღობს მზე...
შემომექამრა წელზე არილი
და გრძნეულივით შევდექ მაღლობზე.
იქ აღმაფრენის ელვამ იელვა,
ფიქრი საწიერს ალად მოება...
შემომათენა მზერა ციერმა
და... გააჟრჟოლა ამაოებას.

კაცი-არაქაური

ტყისკენ გარბოდა ცელქი ბილიკი,
ნაირგვარობა ჩანდა ჩეროთა...
კაცი — ქარებზე დაყრდნობილი კი
ხორშაკგადავლილ ცას გასცქეროდა.
მან განიცადა ხილვით ღმერთი და
ყოფნა — მსუსხავი ჟამ-ხაროებით...
იდგა, ესმოდა ცისმიღმეთიდან
ხმები — შორეულ სამყაროების...
დუმდა ზენური მზერით მზირველი,
არ ეკუთვნოდა აქაურობას...
კაცი — ვეება ტანჯვის მზიდველი —
იდგა და მასში ზღვა ხმაურობდა.

მშვენების შუქით...

მწუხრი დამძიმდა, ვით ტყე წვიმებით,
ნისლი დააწვა დაღლილ ფოთლოვანს...
ჩათავებულა ჟამის წირვები,
ჩემ წილ სივრცეში მკაცრად მოთოვა!
რა ენაღვლებათ წიკო-მაკოებს!
გული სკდომამდე არის მისული...
ჯერ მხოლოდ შენი მზერა მაკავებს —
მშვენების შუქით შემომისნული.

ნეტავ, ვიცოდე

ძლივს ჩანს: — ხეების წვეროკინებზე
ფარტენასავით ნისლი ირთვება,
დილა ჩამორბის სივრცის კიბეზე,
ამოისუნთქეს სიო მინდვრებმა.
ძვირფასი თვლები ყრია მოლზე და
„ცვრიან ბალახზე“ თბილად ვსველდები...
დღეს, წარსულივით შორს ხარ როდესაც,
ნეტავ, ვიცოდე, თუ გახსენდები?

ოდეს იშვებს ქვეყანა

ოდეს იშვებს ქვეყანა — ქალი ქალად ქალდება,
შემოგღიმებს ნეტარად, შემოგაფართქალდება;
მაშინ იშვებს სამყაროც, დგება რბილი ტაროსი,
მიწა ხარობს, ცა ხარობს, ისმის ფიქრი წყაროსი;
ქარს უხდება დავლური, ჩერო სწრაფად ალდება...
მოვა ქალი ქალური, შემოგაფართქალდება.

მე იმიტომ კი არა ვწერ ლექსებს

მე იმიტომ
კი არა ვწერ ლექსებს,
რომ სახელად მეც პოეტი მერქვას, —
ჩემი გული
გამოუთქმელს ეძებს
და... ყურს ვუგდებ მშობელ მიწის ფეთქვას.

მინდა ის ვთქვა —
რაც ვერ თქმულა ჯერაც
და ეს გული ავამღერო ისე,
რომ სიმღერა
აღანთებდეს ყველას
და ღამეშიც აქსოვებდეს მზისფერს...

ლექსის კითხვით
თუ თქვენ იგრძნობთ დაღლას,
თუ ვერ ნახავთ სიტყვას ალერსიანს,
თუ ვერ იგრძნობთ
ლექსში რაღაც ახალს,
ისე ლექსი, აბა, რა ლექსია!

ჩემს მინდვრებზე
ველი ახალ ვერძებს
და ვწერ ლექსებს...
თამაშია ფერთა...
ჩემი გული
მარადიულს ეძებს
და... ყურს ვუგდებ
მშობელ მიწის ფეთქვას.

ქარის ღელვა

ვხედავ: იცინის მელანქოლია,
მღერის მოწყენა და... იდილია...
ხოლო ამ ქარის ღელვა, მგონია,
ბედთან ბრძოლაა და ჭიდილია!
ეს, რომ იცოდეთ, ძლიერ მიტაცებს,
ამიტომ მიყვარს ქართან სერობა;
მისი სითბო და მისი სიმკაცრე,
თავაწყვეტა და მოუსვენრობა!

მაფორიაქებს...

მაფორიაქებს ლაჟვარდების უტყვი სიშორე,
როცა ღრუბელი ეძალება ცას ან საწიერს...
შენ, ნათლიერო, ახალ დღეებს უდირიჟორე,
ქურუხა ფერი ფარდასავით კვლავ გადასწიე.
კვლავ მოუოხე დახშულ გულს
და მტკივან ღიმილებს,
ვის უნდა ახლა გამხელილი განცდა-წამება?
მარტვილთა სულებს დრო ლურჯფერად
მიალივლივებს
მარადისობის მშვიდ უბეში დასავანებლად.

ვალმოხდილი „ხოჩა მაარე“

ეს ეპიზოდური და ფრაგმენტული წერილი, ერთი ღირსეული კაცის სულის მისაგებლად ჩამეთვალოს. „ვალმოხდილიც“ აკი ისეთზე ითქმის ხოლმე, ვინც ცხოვრებაში რაღაც ვალდებულება პიროვნულად გაითავისა, ნებაყოფლობით იტვირთა, საწუთისოფლო ღედღეუდეზე ღირსეულად ატარა, გზადაგზა ყველა ვალი პირნათლად გაისტუმრა და ბოლოს, სააქაო-საიქაოს გზაგასაყარზე, ვალმოხდილმა შეისვენა...

ამ ორმოცი დღის წინ, სწორედ ასეთი დამსახურებული ადამიანი გამოაკლდა ჩვენ საგვარეულოს, 86 წლის ასაკში მიიცვალა სერგო ხერგიანი და სახელოვან წინაპართა პლეადას თავადაც შეუერთდა. „ხოჩა მაარე“ (კარგი კაციო“) სვანებმა ასეთზე იციან ხოლმე თქმა და ბ-ნი სერგო მართლაც გამორჩეული კაცური თვისებებით იყო შემკული და ჩემთვისაც იგი „დიდ მხნე მუშაკად“ აღქმულ პიროვნებად დარჩება...

ეს ფუტკარივით მშრომელი კაცი, მთელი ცხოვრება სიკეთეს ჩუმად, უანგაროდ თესავდა და ამას თავის მოვალეობად მიიჩნევდა. ამგვარ სიკეთეს კი ერთადერთი ნათელი სახელი — მადლი ჰქვია, დღევანდელობაში უკვე ესოდენ იშვიათი რომ გამხდარა. მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა მადლის უხმაუროდ მთესველს მოვისაკლისებთ და მის ადგილას დასანან სიცარიელეს გულისტკივილით აღმოვაჩენთ ხოლმე...

თავმდაბლობა და ქვეყნის სიყვარული, სერგოს და მის მრავალრიცხოვან დედმამიშვილებს, სწორედ მშობლებიდან დაჰყვათ. მამა — გერმან ხერგიანი, რაიონში გამორჩეული პიროვნება, ბრწყინვალე პედაგოგი გახლდათ. მამის ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა შვილების აღზრდა—განათლებაშიც. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე, სერგო კომკავშირის რაიკომის მდივნად დაინიშნა. გვერდში ედგა საქვეყნოდ ცნობილი ახალგაზრდა ენთუზიასტის, — ბორია კახიანის მიერ თანატოლებში საზოგადოებრივ საწყისებზე წამოწყებულ მრავალ საინტერესო ინიციატივას, რომელთაც კეთილი კვალი დააჩნიეს მთლიანად მესტიის რაიონის იერსახეს. შემდგომში ამ ახალგაზრდების სამოქმედო არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და აქტიურად ჩაერთვნენ შავნაბადაზე კომკავშირული ქალაქის მშენებლობაშიც. დიდი როლი მიუძღვის სერგოს ქვეყნის მოღიავებულ სასაზღვრო ზოლში სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლებასა და ამ რეგიონის გეგმაზომიერ ათვისების საქმეში. წლების მანძილზე ასევე წარმატებით უძღვებოდა ჯანდარის მეცხოველეობის უდიდეს კომპლექსს.

სერგო ხერგიანის ხანგრძლივ და დაუცხრომელ საზოგადოებრივ საქმიანობაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მისი კაცურკაცობის დასტურად, გნებავთ ჩემ ოჯახთან მიმართებაში, ორიოდე შემთხვევას გავიხსენებ:

ომიდან ჭრილობებით დაბრუნებულ მამაჩემს, შინაც უამრავი საზრუნავი დახვდა, რის გამოც ოჯახის შექმნა გვიან მოუწია. უკვე ხანშიშესულს, შემდგომში წვრილშვილიც მძიმე ტვირთად დააწვა და მე, როგორც ხუთ და-ძმაში ყველაზე უფროსი, ვცდილობდი, მამას რამენაირად შევშველებოდი. ბავშვობის იმ მძიმე წლებში, ჩემთვის არათუ რაიმე გასართობი თუ ბალღური სილაღე, სასკოლო არდადეგების დასვენებაც არ არსებობდა. მთელი ზაფხული სხვისი მოჯამაგირე ვიყავი და ბანგურიანის თუ ცაიდერის ტყესა და კლდეღრეებში, ორიოდე გროშის ფასად, თხების ჯოგს ვმწყემსავდი. ეს კი რა ჯოჯოხეთური შრომაა, ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება...

იმ ზაფხულსაც ასე იყო. ერთ საღამოს კარს სერგო მოგვადგა, მამაჩემს რაღაც ფუთა გადასცა და ეუბნება: — ეს წარჩინებული ბავშვი ამხელა ჯაფისთვის ცოდოა, არდადეგების პერიოდში მაინც ცოტა სული მოითქვას, ახალი სასკოლო ფორმა მოვუტანე, ფეხსაცმელებიც აქვეა. პოდმოსკოვიეს საკავშირო პიონერთა ბანაკში სვანეთიდან ბავშვებს პირველად იწვევენ და ბიჭი ამ ერთხელ დასასვენებლად გავუშვათო.

მოგვიანებით, სერგოს ეს ამბავი გავახსენე და ჩემდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ თავისივე დათესილი ეს მადლიანი სიკეთე, თურმე, არც კი ახსოვდა...

წლების შემდეგ, ეს დიდებული ადამიანი, ჩემს ოჯახს ასევე უანგაროდ დაეხმარა აწგარდაცვლილი უფროსი ვაჟიშვილის, — გიგის გრაფიკული ნამუშევრების საგამოფენოდ მომზადებასა და საჯაროდ წარმოჩენაში, რასაც ჩემი მწირი ფინანსური შესაძლებლობებით, პირადად ვერაფრით შევძლებდი.

სერგო, შენი დიდი ადამიანობის დასტურად, უთუოდ სხვა უამრავი სიკეთეც გექნება დათესილი, თანაც ისევე უხმაუროდ და უანგაროდ, როგორც გჩვეოდა ხოლმე. მჯერა, რომ იმქვეყნიურ სავალ გზა-წვრილებზეც, მათი მადლი გაგინათებდა და გიმეგზურებდა. ხერგიანების კიდევ ერთი „ხოჩა მაარე“ მიუხვალ მამა-პაპათა და ეს სახელი განვლილი ცხოვრებით, ღირსეული კაცობით ალალად დაიმსახურე. ალბათ, განგების ნებაც იყო, რომ უცნაური დამთხვევით, აქაც ჩემი გიგის სიახლოვეს ჰპოვე სამუდამო განსასვენებელი და „სერგო ბიძიას“ ის კარგი ბიჭი იქაც მადლიერებით მოგეგებება.

მშვიდობით, ხერგიანების ბრძენო ბერმუხავ! კეთილი ფეხი დაგეტოვებინოს შენი მშვენიერი ოჯახისათვის და საახლობლო წრისათვის. „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა.“

მირონ ხერგიანი
მწერალი. სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი.
ღირსების ორდენის კავალერი.

აგნეს ბოიაჯუ – დედა ტერეზა – სიკვდილის ანგელოზი ჯოჯოხეთიდან

„თუ ის წმინდანია, მე ქრისტე ვყოფილვარ“...
ჯორჯიო ბრუსკო
(იტალიური მაფიის ხელმძღვანელი):

მის „მომაკვდავთა სახლებში“ აკრძალული იყო ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გამოყენება და ავადმყოფები ნებისმიერი დაავადებისგან კვდებოდნენ.

ეს იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მასმედიის მიერ „სწორად“ მიწოდებული ინფორმაციის წყალობით ყველაზე ამაზრზენი და გულბოროტი ადამიანი „წმინდანად“ მოაჩვენო მილიონობით ადამიანს...

დედა ტერეზა, იგივე აგნეს ბოიაჯუ, 1910 წლის 26 აგვისტოს სკოპიეში, მდიდარი ალბანელი კათოლიკეების ოჯახში დაიბადა. მისი მამა ალბანელი ნაციონალისტი იყო, რომელიც იატაკქვეშა ორგანიზაციაში ირიცხებოდა, სკოპიეს სერბებისგან გათავისუფლება და მისი ალბანეთთან მიერთება რომ ექცია მიზნად. ის მალევე მოკლეს სერბულ სოფელზე შეტევის დროს.

1928 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, აგნესი ირლანდიაში გაემგზავრა და „ლორეტოს დების“ მონაზვნების ორდენში შევიდა, მან შეისწავლა ინგლისური ენა, მონაზვნად აღიკვეცა და ტერეზას სახელით ინდოეთის ქალაქ კალკუტაში გაემგზავრა, რათა წმინდა მარიამის სახელობის კათოლიკურ სკოლაში მასწავლებლად ემუშავა.

მოგონებების თანახმად, 1946 წელს ტერეზას იესო ქრისტე გამოეცხადა, რომელმაც სკოლის დატოვება, მონაზვნის სამოსის განძარცვა, ადგილობრივი ნაციონალური სამოსის, სარის ჩაცმა და ყველაზე ღარიბებისთვის და უბედურებისთვის დახმარების გაწევა უბრძანა. სხვა მოგონებებში კი ის ამტკიცებდა, რომ ხუთი წლის ასაკიდან ღმერთი მასთან რეგულარულად მიდიოდა.

როგორც უნდა უცნაური იყოს, ტერეზამ მოახერხა თავისი უშუალო კათოლიკური ხელმძღვანელობის მხარდაჭერის მოპოვება. იმ დაწესებულებისთვის, რომელსაც თავად დედა ტერეზამ „მომაკვდავთა სახლი“ უწოდა, მერიამ 1948 წელს ინდური ქალღმერთის კალის უძველესი ტაძარი გადასცა. მის პერსონალს დედა ტერეზას მიერ დაარსებული ორდენის („სიყვარულის მისიონერი დები“) მონაზვნები შეადგენდნენ, რომელიც მოგვიანებით რომის პაპის კურთხევით მთელ მსოფლიოში ფუნქციონირებდა.

დედა ტერეზას ორგანიზაციამ მსოფლიოში სახელი 1969 წელს გაითქვა, როცა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დავალებით ჟურნალისტმა მალკოლმ მაგერიჯმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „რაღაც მშვენიერი ღმერთისთვის“, რომელიც ხოტბას ასხამდა დედა ტერეზას. ეს მარტო სადიდებელი ფილმი კი არ იყო, ეგზალტირებული ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ გადაღებების დროს სასწაული მოხდა: „იქ განათება არ იყო, მაგრამ გადაღება არ შეფერხებულა, რადგან „ღვთიური სინათლე“ გამოჩნდა“.

და, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ოპერატორმმა კენ მაკ-მილანმა განაცხადა, რომ მაშინ პირველად გამოიყენა კოდაკის ფირმის ფირი ღამის გადაღებებისთვის, მან ვერ შეძლო სამხედრო-საზღვაო ძალების ძლევამოსილი კორპორაციის ხმის გადაფარვა, თანაც ადამიანებს ურჩევნიათ სასწაულები იწამონ, ვიდრე ახალი ფირის შესაძლებლობები...

პიარის შედეგად მონაზვნების რაოდენობა 5000-მდე გაიზარდა, მათ შეემატა 500 ტაძარზე მეტი მსოფლიოს 121 ქვეყანაში. გაიხსნა ჰოსპისები, მძიმედ დაავადებულთა დახმარების ცენტრები და სოციალური სახლები. თუმცა დედა ტერეზა მათ კვლავინდებურად „მომაკვდავთა სახლებს“ უწოდებდა.

სიმართლე ამ სახლების შესახებ მოთხრობილია მერი ლაუდონის დოკუმენტურ ფილმში „ანგელოზი ჯოჯოხეთიდან“, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთ ასეთ სახლში მუშაობდა.

„თავიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკის კადრებს ვუყურებდი, რადგან ყველა პაციენტს თავი ჰქონდა გადაპარსული. ავეჯიდან მხოლოდ გასაშლელი და პრომიტიული ხის საწოლები იდგა. ორი დარბაზი. ერთში ნელა კვდებიან მამაკაცები, მეორეში — ქალები. პრაქტიკულად არანაირი მკურნალობა არ უტარდებათ, წამლებიდან მხოლოდ ასპირინი და სხვა იაფი სამკურნალო პრეპარატები გამოიყენება. არ ჰყოფნით წვეთოვანი სისტემები, თითოეული ნემსი მრავალჯერადად გამოიყენება. კითხვაზე, რატომ არ ხარშავენ ნემსებს, მონაზვნები მპასუხობენ, რომ ეს საჭირო არ არის“.

დედა ტერეზა ამბობდა: „არის რაღაც მშვენიერი იმაში, როგორ იღებენ ღარიბები საკუთარ ბედისწერას და ისე ეწამებიან, როგორც იესო ჯვარზე. ტანჯვა ნიშნავს, რომ იესო გეამბორებათ“. შედეგად, ტკივილით გამოწვეული შოკი ბევრი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა.

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი იდეალურად მიესადაგება მის კონცეფციას ავადმყოფების „გადარჩენის“ შესახებ. თუ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის გადარჩენა გამოჯანმრთელებას ნიშნავს, დედა ტერეზასთვის ეს ნიშნავდა კათოლიკობის მიღებას და იმქვეყნიურ ცხოვრებაში ტკივილისგან გათავისუფლებას. ამიტომ, რაც უფრო მეტად იტანჯებოდა ადამიანი, მით უფრო ადვილი იყო მისი დარწმუნება, რომ ტანჯვისგან გასათავისუფლებლად კათოლიკე უნდა გამხდარიყო და იესო ქრისტე მას დაეხმარებოდა.

დედა ტერეზა ასევე იოლად იცვლიდა პოზიციებს სხვადასხვა საკითხებზე. 1979 წელს ნობელის პრემიის მიღებისას მან განაცხადა: „მსოფლიოს ყველაზე დიდი საფრთხე აბორტია, რადგან ეს არის ომი, მკვლელობა, ადამიანის მკვლელობა საკუთარი დედის მიერ“.

თუმცა, როცა მისმა მეგობარმა, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ძალადობრივად დაიწყო ღარიბების სტერილიზაცია, აგნეს ბოიაჯუმ მხარი დაუჭირა ამ კამპანიას. 1993 წელს კი მან კვლავ შეცვალა პოზიცია და გაკიცხა 14 წლის გოგონა, რომელმაც გაუპატიურების შემდეგ აბორტი გაიკეთა.

მსოფლიოში მოგზაურობისას აგნეს ბოიაჯუ მოითხოვდა განქორწინების აკრძალვასაც. თუმცა, როცა მისი მეორე მეგობარი, პრინცესა დაიანა პრინც ჩარლზს გაეყარა, დედა ტერეზამ განაცხადა, რომ „ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ოჯახიდან სიყვარული წავიდა“.

მიუხედავად იმისა, რომ აგნეს ბოიაჯიუ მოკრძალებული ქრისტიანული ცხოვრებისკენ მოუწოდებდა, მსოფლიოში მრავალრიცხოვანი მოგზაურობისას ის თავად პერსონალური თვითმფრინავებით და ვერტმფრენებით გადაადგილდებოდა და ყველაზე ფეშენებელურ რეზიდენციებში ჩერდებოდა.

მასირებული პროპაგანდის წყალობით მილიონობით ადამიანმა დაიჯერა უბედურ ადამიანებზე უანგაროდ მზრუნველი დედა ტერეზას ამბავი და მისი ორდენისთვის დაიწყეს შემოწირულობების გაგზავნა. ნობელის პრემიის გარდა, დედა ტერეზამ და მისმა ორდენმა კიდევ ათეულობით პრემია და უამრავი თანხა მიიღეს სხვადასხვა ორგანიზაციიდან. იმის შესახებ კი, როგორ იხარჯებოდა ეს თანხები, ნობელის პრემიის ლაურეატს საუბარი არ უყვარდა.

ინდირა განდისთან მეგობრობის წყალობით, მისი ორგანიზაცია, რომელიც ინდოეთში იყო დარეგისტრირებული, დიდი ხნის განმავლობაში გათავისუფლებული იყო ყველანაირი ფინანსური კონტროლისგან, როგორც მსხვილი საქველმოქმედო ორგანიზაცია. ამასთან, როდესაც 1998 წელს შედგა რეიტინგი სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ კალკუტაში გაწეული ფინანსური დახმარებების შესახებ, დედა ტერეზას ორდენი 200 ორგანიზაციას შორისაც კი არ ყოფილა მოხსენიებული.

ყველაზე ხმაურიანი სკანდალი, რომელიც აგნეს ბოიაჯიუს მიერ მიღებულ შემოწირულობებთან იყო დაკავშირებული, 1991 წელს მოხდა, როცა გერმანულმა ჟურნალმა შტერნმა დოკუმენტებზე დაფუძნებით გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მხოლოდ შემოწირულობების 7% იხარჯებოდა ავადმყოფების სამკურნალოდ, უზარმაზარი თანხები კი ვატიკანის ბანკის სხვადასხვა ანგარიშებზე ირიცხებოდა.

შემოწირულობების წარმომავლობა დედა ტერეზას სრულიად არ აწუხებდა. ის მშვიდად იღებდა დიქტატორების მიერ საკუთარი ხალხისთვის წაგლეჯილ ფულსაც კი.

ამგვარად, 1981 წელს ის ჰაიტის ეწვია, რომელსაც ჟან-კლოდ დიუვალიე მართავდა მამა-დიქტატორის სიკვდილის შემდეგ. თითქოსდა არაფერი კარგი არ ხდებოდა დასავლეთ ნახევარსფეროსა და დედამიწაზე ყველაზე ღარიბი ქვეყნანაში, სადაც 60 ათასზე მეტი აშკარა და ფარული პოლიტიკური მკვლელობა ჩაიდინა დიუვალიეს ოჯახმა და სადაც კორუფცია და ავადმყოფობები ჰყვაოდა, თუმცა დედა ტერეზამ განაცხადა, რომ მსოფლიოში არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ უნახავს ქვეყნის მმართველსა და ღარიბებს შორის ასეთი სიახლოვე. შედეგად, ჰაიტის დიქტატორისგან დედა ტერეზამ 1,5 მლნ დოლარი მიიღო.

სხვა ცნობილი კეთილისმყოფელი, რომელმაც დედა ტერეზას 1,25 მლნ დოლარი შესწირა, იყო ამერიკელი ჩარლზ კიტინგი. მოგვიანებით, როცა ის სასამართლოში მოხვდა, რადგან თავისი ფონდის 23 ათასი მეანაბრე გაძარცვა და 252 მლნ დოლარი მიითვისა, დედა ტერეზამ თხოვნა დაწერა კათოლიკური ეკლესიის ერთგული და ხელგაშლილი შვილის შეწყალების თაობაზე.

დედა ტერეზამ ვატიკანს 3 მლრდ დოლარზე მეტი მოუტანა და მილიონობით მიმდევარი შესძინა.

როდესაც იტალიელმა ჯორჯიო ბრუსკომ, რომელიც ციხეში იჯდა მაფიის ხელმძღვანელობის ბრალდებით, დედა ტერეზას კანონიზაციის შესახებ გაიგო, თქვა: „თუ ის წმინდანია, მე ქრისტე ვყოფილვარ“...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562